ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №10. დეკემბერი. 2013.

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მიიწურა კიდევ ერთი წელიწადი და ჩვენ ვალდებული ვართ საკუთარ თავს, საკუთარ ქვეყანას ჩავბაროთ გასული წლის ანგარიში.

მთავრობა და ხელისუფლება ანგარიშვალდებულია საკუთარი მოქალაქეების წინაშე. სტუდენტები კი საზოგადოების ის ნაწილია, რომლებიც ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ, რომლის წინაშეც ვალდებულებები შორს გათვლილ მიზნებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, რომლის წინაპარმაც საქართველო აქამდე მოიტანა. თქვენ იმ თაობას წარმოადგენთ, რომელმაც სწორედ წინაპართა დანატოვარი ქვეყნის მომავალი უნდა ჩაიბაროს. განათლებული და თავისუფალი ახალგაზრდები ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს იმედსა და საყრდენს.

ჩვენი ხელისუფლება სხვა ინიციატივებთან ერთად განათლების სისტემაშიც ატარებს მნიშვნელოვან რეფორმებს, რის შედეგადაც გაცილებით მეტი ახალგაზრდა შეძლებს უფასო უმაღლესი განათლების მიღებას, სკოლის მოსწავლეები კი — უფასო სახელმძღვანელოებით სწავლას.

თქვენი მოვალეობა კი არის მხოლოდ სწავლა და მიღებული განათლების საკუთარი ქვეყნისა და უპირატესად კი, რეგიონის სასიკეთოდ გამოყენება.

გილოცავთ ახალი — 2014 წლის დადგომას.

გისურვებთ, რომ იყოთ მიზანდასახულნი, შრომისმოყვარენი და წარმატებულნი.

მრავალს დაესწარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე
არჩილ ხაბაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ვულოცავ შობა-ახალ წელს! ყოველი თქვენგანისთვის წარმატებული, ნაყოფიერი და ქვეყნის საკეთილდღეოდ ღირსეული საქმეების კეთების წელი ყოფილიყოს.

ვისურვებდი, სტუდენტობის საუკეთესო წლები ახალგაზრდებმა წიგნიერებას, ძიებას და თვითგანათლებას დაუთმონ.

საამაყოა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ღრმად ვარ დარწმუნებული, უნივერსიტეტი კიდევ უფრო ძლიერი გახდება, ხოლო სტუდენტებს შეძენილი ცოდნა წარმატებული გზის არჩევაში დაეხმარებათ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს!

პატივისცემით განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი
თამარ სანიკიძე

საუნივერსიტეტო ცხოვრება - 2013

სულ რამდენიმე დღეში ახალი წელი შემოაღებს კარებს და თითოეული ჩვენგანი ახალი იმედებითა და სიხარულით შევეგებებით მას. ვაფასებთ რა განვლილ წელს, ვთვლით, რომ იგი წარმატებული იყო ჩვენი უნივერსიტეტისათვის, განსაკუთრებული ელფერი კი გასულ წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია მეორის სტუმრობამ, მისმა ლოცვა-კურთხევამ და მისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებამ შესძინა, რამაც უფრო მეტი სტიმული მოგვცა და მომავალი წარმატებული გზის იმედი ჩაგვისახა.

ახალ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელოვანი ცვლილებებით ეგებება. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა 4 ახალი ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა და განათლების, რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებებით სწავლებისა და კვლევების სრულყოფას.

მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა 2 და დოქტორანტთა 3 პროექტი, რაც ჩვენთან მიმდინარე მეცნიერული კვლევების მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება.

უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სრულყოფის გზაზე. განხორციელდა ცვლილებები სასწავლო პროცესში, მათ შორის რეიტინგულ შეფასებებთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალის მიერ შეიქმნა სალექციო კურსებისა და რიდერების ელექტრონული ვერსიები, რომელთა ბიბლიოთეკის ქსელში განთავსება დაიწყო და რაც სასწავლო მასალათა ხელმისაწვდომობას გაზრდის. მნიშვნელოვანი წინსვლა განხორციელდა

უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვაში. ჩვენმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო საგრანტო პროექტებში: ერაზმუს მუნდუსი, ტემპუსი, დაადი და სხვა გაცვლით პროგრამებში — ნორვეგიაში, აზერბაიჯანსა და მევლანას პროექტის ფარგლებში თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთანავე, ჩვენმა სტუდენტებმა პროფესიული პრაქტიკა გაიარეს გერმანიაში.

ჩვენი უნიეევერსიტეტი უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა სახის კონფერენციების მასპინძელია. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა. ჩატარდა საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში - 4“, მესამე პრაქტიკული კონფერენცია „საგანმანათლებლო და ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაცია“, ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საერთაშორისო კონფერენცია „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი“ და სხვა.

ტრადიციულად იმართება ჩვენთან საზაფხულო სკოლები. ამის დასტურია ქართველოლოგიის მეორე საზაფხულო სკოლა „კორპუსის ლინგვისტიკა და ქართველოლოგიის პრობლემები“ და საერთაშორისო საზაფხული სკოლის „ევროპული სამართალი სამხრეთ კავკასიაში“ ჩატარება.

უნივერსიტეტი ყოველთვის გულღიად მასპინძლობდა უცხოელ პროფესორებს, რომელთა მიერ ჩატარებული ლექციები თუ ტრეინინგები ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წარმატების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული საერთაშორისო ასპარეზზეც. ოფიციალური ვიზიტები განხორციელდა მარმარას, ფათიჰის, ანადოლუს, როსტოკის უნივერსიტეტებში, სადაც დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მნიშვნელოვანია რიზეს უნივერსიტეტთან მევლანას პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება.

ჩვენ საკადრის პატივს მივაგებთ თითოეულ ადამიანს, ვინაც უნივერსიტეტის წარმატებაში თუგინდ ერთ აგურს მაინც დადებს, ამიტომაც საპატიო დოქტორის წოდება მივანიჭეთ გერმანელ პროფესორს, ქართველოლოგ იოსტ გიპერტს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს ჰუსეინ ნიზამ ოღლი ნაჯაფოვს.

წელს ღირსეულად აღინიშნა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 55-ე, ქორეოგრაფიული ანსამბლ „ტბეთის“ მე-60, ჰაიდარ აბაშიძის 120-ე, ილია კეჭაყმაძის 85, ხოლო რამაზ სურმანიძისა და აბელ სურგულაძის 80 წლის იუბილეები და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი თარიღები.

მიმდინარე წელს არც კულტურული და სპორტული ცხოვრება ჩამორჩებოდა სასწავლო-სამეცნიერო პროცესს. უნივერსიტეტს პროექტით „ბიბლიოთეკა ბორბლებზე“ სტუმრობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, მწერალი ბაღათერ არაბული, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი დავით თედორაძე, პოეტები ვახტანგ ღლონტი და ბელა ქებურია, რომლებმაც უნივერსიტეტს საჩუქრად ახალი გამოცემები გადასცეს. საინტერესო შეხვედრა შედგა მწერალ დათო ტურაშვილთან, რომელიც დიალოგის რეჟიმში წარიმართა. სტუდენტურმა თეატრალურმა დასმა კიდევ ერთი ახალი სპექტაკლი აჩუქა მაყურებელს. საინტერესოდ წარიმართა „სტუდენტური დღეები 2013“, ხოლო ჩვენმა საკალათბურთო, მკლავჭიდისა და ფუტზალის გუნდებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ეს მცირედი ჩამონათვალია ყველაფერი იმისა, რაც მიმდინარე წელს უნივერსიტეტის ცხოვრებაში განხორციელდა. რა თქმა უნდა, ყველაფრის ერთ საგაზეთო წერილში მოქცევა რთულია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უნივერსიტეტი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. მუდამ ახალი წარმატებები კი გვაძლევს საფუძველს, ღირსეულად შევხვდეთ უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს.

და ბოლოს, მინდა თითოეულ სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელს, უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს, სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი. ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და წარმატებები როგორც თითოეულ მათგანს, ასევე მათ ოჯახებს.

ალიოშა გაკურიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი

გილოცავთ!

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდებს, ლექტორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ სიყვარულს, სიკეთეს, მშვიდობასა და შემართებას ახალ-ახალი წარმატებების მისაღწევად.

მოყვასის სიყვარულით, ჩვენი ქვეყნის ერთიანობითა და წინსვლით გეხაროთ.

უფალი იყოს თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოს მფარველი.

სულიკო თეგიძე,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს დიდი სიყვარულით ვულოცავ ახალი — 2014 წლის დადგომას.

ხვალის იმედით დავემშვიდობოთ ძველ წელს, მადლობა ვუთხრათ მას და ახალი იმედებით შევხვდეთ ახალი წლის შემობრძანებას.

ახალი წელი ყოველი თქვენგანის იმედების გამართლების წელი ყოფილიყოს.

მინდა, ყველას გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიკეთე, კეთილდღეობა, ულევი სიხარული, სიყვარული, გამრავლება, ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ცხოვრების ხალისი და ვაჟკაცური შემართება, წარმატებები პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

ღმერთი გფარავდეთ!

გივი აბაშიძე,
ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს ვულოცავ დამდეგ 2014 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას, წარმატებებს სწავლასა და შრომით საქმიანობაში.

ედიშერ ჩავლეიშვილი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

რიზეს უნივერსიტეტთან „მევლანას“ გაცვლითი პროგრამის ხელშეკრულება გაფორმდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს რიზეს რეჯებ ტაიპ ერდოგანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ხუსეინ კარამანი და პროფესორ-მასწავლებლები ეწვივნენ. შეხვედრის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორებმა ხელი მოეწერეს „მევლანას“ გაცვლითი პროგრამის ორმხრივ ხელშეკრულებას, რომელიც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას ითვალისწინებს. სტუდენტებს შეუძლიათ თურქეთის რესპუბლიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისწავლონ ერთი ან ორი სემესტრით, ხოლო აკადემიურ პერსონალს ლექციების ჩატარება შეუძლიათ ერთი კვირიდან სამი თვის განმავლობაში.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს, რომელთაც კარგი აკადემიური მოსწრება აქვთ და ფლობენ ინგლისურ ენას. კონკურსში გასულ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების აღმასრულებელი საბჭო ყოველთვიურ სტიპენდიას დაუნიშნავს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „მევლანას“ გაცვლით პროგრამას ახორციელებს სამსუნისა და ართვინის უნივერსიტეტებთან. პროგრამის ფარგლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ პორფესორი გუგული ბერიძე, ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი ნინო ლომთათიძე და განათლების ფაკულტეტის მასწავლებელი ლია ინაიშვილი ერთი თვით ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ. შეხვედრაზე პროფესორმა გუგული ბერიძემ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ჭოროხის უნივერსიტეტში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები წარმოადგინა.

პროფესორი აბელ სურგულაძე - 80

ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ აბელ სურგულაძის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, ემერიტუს-პროფესორებმა, კოლეგებმა, სტუდენტებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მეგობრებმა.

პროფესორმა აბელ სურგულაძემ ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრების გზა. მის სახელთან არის დაკავშირებული 1991 წელს უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის დაფუძნება და საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია. ცნობილი მკვლევრის რედაქტორობით დაიწყო საქართველოს ისტორიის კათედრის გაზეთ „ძლევაის“ და კრებულ „საისტორიო მაცნე“-ს გამოცემა. კონფერენციის ფარგლებში მკვლევრებმა სამეცნიერო სტატიები წარმოადგინეს საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე.

პროფესორი აბელ სურგულაძე იკვლევდა საქართველოს XVIII-XX საუკუნეების საკვანძო საკითხებსა და აჭარის ისტორიის პრობლემებს. მეცნიერმა მოღვაწეობის 45 წლის მანძილზე გამოაქვეყნა 30-მდე წიგნი, 400-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მოგონებები გამოჩენილ ადამიანებსა და მამულიშვილებზე.

ნაყოფიერ სამეცნიერო კველვა-ძიებას პროფესორი აბელ სურგულაძე უთავსებდა უმაღლესი სასწავლებლის ლექტორის აქტიურ, შრომატევად საქმიანობას. მანძილზე მისი ლექციები საქართველოს ისტორიაში, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში გამოირჩეოდა მეცნიერული სიახლეების წარმოჩენით, ღრმა ანალიზითა და ორატორული ხელოვნებით.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული უნივერსიტეტის პროექტები

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო და 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსების ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევრების პროექტები დააფინანსა. ასოცირებული პროფესორის ზაზა შაშიკაძის ხელმძღვანელობით განხორციელდება პროექტი „ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში“. ემერიტუს-პროფესორი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი შუშანა ფუტკარაძე უხელმძღვანელებს პროექტს „სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა“. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება მიიღო ასევე პროფესორ ნუგზარ ღომიძის სადოქტორო პროგრამამ ,,მოდულირებული სიგნალები დისპერსიულ გარემოში”, პროფესორ ალეკო კალანდიას

სადოქტორო პროგრამამ ,,სტევიას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და მათი ცვალებადობა გადამუშავების პროცესში“ და ასოცირებული პროფესორის ლეილა ახვლედიანის სადოქტორო პროგრამამ ,,აჭარაში გავრცელებული ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევების გამოყოფა, იდენტიფიკაცია და ანტიბიოტიკორეზისტენტობის პროფილის შესწავლა”.

რევაზ უზუნაძის, რამაზ სურმანიძისა და ნუგზარ ზოსიძის წიგნის „ბათუმი“ პრეზენტაცია

რევაზ უზუნაძის, რამაზ სურმანიძისა და ნუგზარ ზოსიძის წიგნის „ბათუმი“ პრეზენტაცია ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში. მდიდარი წერილობითი მასალების საფუძველზე წიგნში გადმოცემულია ქალაქ ბათუმის ისტორია, თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ნაშრომში მრავლადაა წარმოდგენილი საზოგადოებისათვის უცნობი საილუსტრაციო მასალები: ძველი მსოფლიოს საზღვაო რუკები, ქალაქის გეგმები, ცხრილები და ფოტოსურათები. „ბათუმი“ სამენოვანია, შესრულებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

წარმატების და იღბლის ფსიქოლოგია

თუ შევეკითხებით ადამიანებს, რა სურთ და რაზე ოცნებობენ, ხშირად ჩვენ მოვისმენთ სხვადასხვა პასუხს, სინამდვილეში კი ყველა პასუხში იგულისხმება მხოლოდ ერთადერთი რამ - მინდა ვიყო წარმატებული და იღბლიანი. საინტერესოა, როგორ გვესმის ფსიქოლოგებს წარმატების საკითხი, როგორ ვხსნით იმას, რომ ერთი ადამიანი წარმატებულია, ყველაფერს იოლად აღწევს ცხოვრებაში, ხოლო მეორე კი ამას ვერ ახერხებს, რა იმალება ამ პრობლემის უკან?

დიდი ბრიტანეთის ხარტფორდშირის უნივერსიტეტის ფსიქოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა იმის გასაგებად, თუ რაზეა დამოკიდებული ადამიანის წარმატება და იღბალი. ჯგუფის ხელმძღვანელი - დოქტორი რიჩარდ ვაისმანი 8 წლის განმავლობაში სწავლობდა 400 იღბლიან და უიღბლო ადამიანის ცხოვრებას და მივიდა დასკვნამდე, რომ იღბლიანებად არ იბადებიან. მისი აზრით, ყოველი ადამიანი ?ვითონ ქმნის თავის წარმატებას და თვითონ შეუძლია საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესება.

იღბლიანები თვითონაც ვერ აცნობიერებენ, ისე ცხოვრობენ 4 ძირითადი პრინციპის დაცვით:

პირველი, თვითონ ცდილობენ შექმნან წარმატების შანსი. ისინი ადვილად ამჩნევენ, ქმნიან და ცდილობენ, ხელიდან არ გაუშვან წარმატებული სიტუაცია, სწავლობენ ცხოვრების მშვიდად აღქმას და არ ეშინიათ ექსპერიმენტების. მეორე, ისინი წინასწარ გრძნობენ წარმატებას და ცდილობენ ისე იმოქმედონ, როგორც ამას კარნახობთ ინტუიცია და გამოსდით კიდეც, ვინაიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში ავარჯიშებენ საკუთარ ინტუიციას, ცდილობენ, თავიდან გამოდევნონ ზედმეტი ფიქრები და მედიტირებენ. მესამე, ისინი არიან ოპტიმისტები, სჯერათ, რომ აუცილებლად გაუმართლებთ, მაგრამ თუ არ გაუმართლათ, მაშინ ფიქრობენ, რომ შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო. ეს მათ ეხმარება იმაში, რომ სჯეროდეთ საკუთარი თავის, წარუმატებლობის შემთხვევაში, ისინი არ ნებდებიან და არ ყრიან ფარ-ხმალს. მეოთხე, იღბლიანებს აქვთ მათთვის სასარგებლოს მაშინვე შემჩნევის უნარი და ამისთვის იყენებენ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ხერხებს.

ოპტიმისტებისთვის ხშირ შემთხვევაში წარმატება - არის არა ის, თუ რა ხდება მათ თავს, არამედ ის, რასაც ისინი უქმნიან საკუთარ თავს. პესიმისტებს კი - პირიქით, შეუძლიათ რაღაც უარყოფითის მოძებნა მაშინაც კი, როცა ყველაფერი კარგადაა.

თითოეული ჩვენგანი ოცნებობს, რომ გახდეს წარმატებული, ამისთვის თითქოს არაფერი გვიშლის ხელს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ამაში თითქოს რთული არაფერია, მაგრამ მაინც რაღაც არ გამოგვდის. საინტერესოა, რა არის ამის ძირითადი მიზეზი და რა ითვლება პრობლემად?

წარმატება - ესაა პოზიტიურად აღქმული სიტუაცია, მოვლენა, რომელიც შემთხვევით წარმოიშობა. წარმატება - ესაა სიტუაციის ჩარჩოდან გამოსვლა, ფართო თვალსაწიერი, - ამბობს ფსიქოლოგი რიჩარდ ვაიმანი, რომელიც არის წარმატების ფაქტორის წიგნის ავტორი. მან ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: რამდენიმე გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც სთავაზობდა იმათ, ვინც საკუთარ თავს იღბლიანად თვლიდა და იმათ, ვინც საკუთარ თავს უიღბლოს უწოდებდა, მონაწილეობა მიეღოთ ექსპერიმენტში. თითოეულს, ვინც გამოეხმაურებოდა, აძლევდა სქელ გაზეთს და სთხოვდა, ზუსტად დაეთვალათ ფოტოების რაოდენობა. სინამდვილეში მთავარი ამოცანა იყო ის, რომ ერთი გვერდზე, სხვადასხვა რეკლამებს შორის მკვლევარმა განათავსა შემდეგი შინაარსის განცხადება: ?ეატყობინეთ ექსპერიმენტატორს, რომ თქვენ ის იპოვეთ და ჯილდოდ მიიღებთ 250 ფუნტ სტერლინგს. განცხადება დიდი შრიფტით იყო დაბეჭდილი და ეჭირა ნახევარი გვერდი. ისმის კითხვა: ვინ შეამჩნია ეს განცხადება? რა თქმა უნდა, უკლებლივ ყველა იღბლიანმა. ვერც ერთმა ცდის პირმა, ვინც აცხადებდა, რომ უიღბლოა, ვერ შეამჩნია განცხადება, ვინაიდან ყველა დაკავებული იყო ინსტრუქციის შესრულებით: ფოტოების სკრუპულოზური დათვლით და ტექსტს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ვაისმანის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ წარმატება არ არის სიტუაციის საკეთილდღეოდ მიმდინარეობა, არამედ წარმატება არის ჩვენი მზაობა, რომ ვისარგებლოთ სიტუაციით. ამ ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ არიან უიღბლოები, არიან უფრო დაძაბულები, ვიდრე მათი წარმატებული კოლეგები და ეს დაძაბულობა ხშირად ხელს უშლით, რომ შეამჩნიონ მოულოდნელი, მაგრამ მათთვის სასარგებლო რამ.

უიღბლობის მიზეზი იმალება ისევ მათში და როგორც წესი, ასეთი ადამიანები არიან დაძაბულები, ნევროტულები და საკუთარ თავში დაურწმუნებლები.

ბევრი ადამიანი თვლის, რომ სხვა ადამიანების წარმატება უკავშირდება „შემთხვევას“, „ჩაწყობას“, „გამართლებას“, მაგრამ სხვა ადამიანების წარმატების მიზეზს რომ წარმოადგენს ყურადღების კონცენტრაციის მაღალი უნარი, მიღებული ინფორმაციის სწრაფი გადამუშავების უნარი - წარუმატებელ ადამიანებს უბრალოდ, არ შეუძლიათ ამის აღიარება.

ადამიანი წარმატებულია იმიტომ, რომ პირველ რიგში, შეუძლია ისარგებლოს შემთხვევით, შეუძლია, თვითონ შექმნას ის. მეორე, ღებულობს სწორ გადაწყვეტილებებს, უსმენს თავის ინტუიციას, შეუძლია თვითრეალიზაცია, უკეთესის მოლოდინშია და ბოლოს, ცხოვრებასთან აქვს ხალისიანი დამოკიდებულება. მაგალითად, უიღბლო ეძებს სამსახურს, ის ეძებს მხოლოდ იმ განცხადებებს, რომელიც დაგეგმა, ხოლო ?ღბლიანი ამჩნევს ყველაფერს. შედეგად პოულობს არა იმას, რასაც ეძებდა, არამედ იმას, რაც უფრო უხდება მას. ესეც თქვენი გამართლება!

მოუსმინეთ თქვენს ინტუიციას, ის იშვიათად ცდება, გამოუცხადეთ ომი რუტინას, იყავით სიახლისადმი ღია, შეეცადეთ ხშირად იფიქროთ და გაიხსენოთ რაიმე კარგი. წარმოიდგინეთ თქვენი თავი წარმატებულად ნებისმიერი ახალი საქმის წამოწყებამდე. ჩვენს ცნობირებას შეუძლია როგორც წარმატების, ისე წარუმატებლობის მოდელირება. ტყუილად ვადანაშაულებთ ამაში სხვებს, სამყაროს, ბედს - ის მხოლოდ ჩვენს შეკვეთას ასრულებს. ამაში ჩვენი თავი უნდა დავადანაშაულოთ. ყველაფერს აქვს პლაცებოს ეფექტი. პლაცებოს მედიკოსები, ეძახიან სითხეს, წყალს, რომელსაც აძლევენ ავადმყოფებს თითქოს ის წამალია, ხოლო ბევრი ავადმყოფი, რომელსაც სჯერა, რომ ეს წამალია ჯანმრთელდება. თუ თქვენ შინაგანად ასე ხართ განწყობილი და გჯერათ, რომ იღბალი და წარმატება გვერდს აგივლით - დარწმუნებული იყავით, რომ ეს ასე იქნება. როგორც ფსიქოთერაპევტი ფრომი ამბობდა: ?რაფერი არ არის სამყაროში კარგი და არაფერი არ არის ცუდი, მთავარი ისაა ჩვენ როგორი დამოკიდებულება გვაქვს სინამდვილის მიმართ.

როცა ვსაუბრობთ წარმატებაზე, მნიშვნელოვანია მადლიერების თემაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. **მადლიერება - ესაა პოზიტიური აზროვნება.** მადლიერებაში იგულისხმება შემდეგი: სთხოვე, მიიღე პასუხი და იყავი შესაბამისობაში.

სთხოვე პასუხი და იყავი შესაბამისობაში

↓ ↓ ↓

ნიშნავს

რა გინდა მიხვდი პასუხს მზად იყო ამისათვის

და გეყოს ძალები

↓

ქცევაში ეს გამოიხატება მიზნის სწორად ფორმირებაში. მიზნისკენ მიმავალ გზაზე უნდა ვიყენებდეთ სხვადასხვა ვარიანტს და ვიყოთ მოქნილები. გამარჯვების მოპოვების შანსი აქვს იმას, ვინც გამოავლენს მეტ მოქნილობას და მეტ სხვადასხვა ვარიანტს მიზნისკენ მიმავალ გზაზე. თუ გეშინია და ხარ დათრგუნული, რომელ გამარჯვებაზეა ლაპარაკი. აქ მნიშვნელოვანია, არ გადაუხვიო მიზანს და იყო მოქნილი, როგორც იტყვიან: ?რის დრო ქვების მოგროვებისა და დრო სროლისა.

სამყარო წარმოადგენს ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილ გარემოს, რომელიც სავსეა ჩვენთვის საჭირო ყველა რესურსით. ეს პრესუპოზიცია ორად იყოფა: 1. სამყარო სავსეა ჩემთვის საჭირო ყველა რესურსით; 2. ჩემს რუქაში (წარმოდგენაში) ეს სამყარო სავსეა ყველა რესურსით.

ყველაზე მთავარია ჩემი შინაგანი განცდა, რომელიც ყველაფერს განაგებს ჩემს ცხოვრებაში.

გარემო არის ყველაზე ზედაპირული, ის ადვილად იცვლება. როცა ვლაპარაკობთ ქცევაზე, ისიც სხვადასხვანაირია და დამოკიდებულია გარემოზე, მაგრამ როგორ ვიქცევი მე - ეს დამოკიდებულია ჩემს უნარებზე და შესაძლებლობებზე. უფრო საინტერესოა ის, რომ ჩემი უნარების გამოყენებაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს გარემო. გარემო თუ კეთილგანწყობილია, არის ჩემი შესაძლებლობების გამოყენების მეტი ალბათობა და როცა პირიქით ხდება, ითრგუნება ჩვენი უნარები.

რას ნიშნავს წარუმატებელი „მე?“ ადამიანი ეძებს და ვერ პოულობს ვერც სიყვარულს, ვერც წარმატებას და ასევე, ვერ პოულობს არსებობის აზრს. ეს მასში იწვევს დისკომფორტს და მიდის, მირბის, სვამს, ეძებს სიამოვნებას, ფულს და დგას ფსიქოლოგიური თვითმკვლელობის პირისპირ.

ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებულად საყურადღებოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადამიანი იწყებს ყველაფერში ისევ და ისევ თავისი ბედის და იღბლის დადანაშაულებას, თვითონ კი მის შესაცვლელად არაფერს აკეთებს, რაც ძალიან კარგად ჩანს ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ ზღაპარში:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბარტყი. იგი იჯდა ბუდეში, უყურებდა როგორ დაფრინავდნენ ჩიტები. მასაც უნდოდა ფრენა, მაგრამ არ შეეძლო, მოსინჯა, ასწია ფრთა, მაგრამ ვერ გაფრინდა. მოიწყინა, ამ დროს მოფრინდა ბუ. რა კარგია რომ მოფრინდი. ბუმ ჰკითხა: რატომ ხარ მოწყენილი? ფრენა მინდა, მაგრამ არ ვიცი, მასწავლე, როგორ გავფრინდეო. გასწავლიო. მე მაქვს წიგნი, სადაც ჯადოსნური სიტყვები წერია. შემიძლია მოგცე და წაიკითხო, მაგრამ მე ის ბუდეში მიდევს, ძალიან მძიმეა და ვერ წამოვიღებო, თანაც აქედან შორს არისო. მოდი ჩემთან და წაიკითხეო. ბუ გაფრინდა. ბარტყს გაუჩნდა სურვილი: ესწავლა ფრენა, ბუს ბუდესთან მისულიყო და წაეკითხა ის ჯადოსნური სიტყვები. ახტა ბუდიდან ერთხელ, მეორეჯერ, მერე ფრთები მიაყოლა. მართალია, პირველად გაუჭირდა, მაგრამ მერე შეძლო და გაფრინდა. გახარებულმა ბუს ბუდეს მიაშურა, რომ წაიკითხავდა წიგნში ჯადოსნურ სიტყვებს. მიფრინდა ბუს ბუდესთან, ბუ იჯდა და იცინოდა. ბარტყი მაშინვე მიხვდა და აღარაფერი აღარ უკითხავს. ბუს კი უთხრა, მოვფრინდიო...

ჩვენი ქცევები განპირობებულია გარემოში მიმდინარე მოვლენების და ჩვენს თავში მიმდინარე პროცესების ურთიერთზემოქმედებით.

ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს შრომისმოყვარედ და წარმატებულად თვლიან, აღწევენ უფრო მეტ წარმატებას, ვიდრე ისინი, ვინც საკუთარ თავს წარუმატებლად თვლის.

იფიქრეთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ყურადღება გაამახვილეთ საკუთარ პოზიტიურ შესაძლებლობებზე, შეეცადეთ, მოახდინოთ სისუსტეების კორექცია და თქვენ წარმატებულად დაგეგმავთ თქვენს მომავალს და იმოქმედებთ მის შესაბამისად.

მაღალი ეფექტურობის მქონე ადამიანები არიან უფრო მიზანდასახულები, აქვთ ნაკლები შფოთვა და ნაკლებად არიან დეპრესიისკენ მიდრეკილები.

თქვენი თვითეფექტურობა გამოიხატება იმაში, თუ რამდენად ეფექტურად გრძნობთ თავს ამა თუ იმ საქმის შესრულების დროს.

წარმატებული ადამიანები წარუმატებლობას აფასებენ, როგორც შემთხვევითობას და ფიქრობენ: “საჭიროა ახლებური მიდგომა”.

ისინი ცდილობენ, არ მოექცნენ წარუმატებლობის გავლენის ქვეშ და მოიძიონ ახალი გზები წარმატებისაკენ.

გილოცავთ დამდეგ 2014 წელს და გისურვებთ, რომ ეს წელი საქართველოსთვის, თითოეული ოჯახისთვის, ჩვენი უნივერსიტეტისთვის, აქ მომუშავე ლექტორ-მასწავლებლებისთვის და ჩვენი საყვარელი სტუდენტებისთვის წარმატების მომტანი ყოფილიყოს!

ქეთევან ბერიძე,
ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გილოცავთ!

2013 წელი უკვე წარსულში გადავიდა და მარადისობის სხივოსნობით გაბრწყინებული ჩვენს მეხსიერებაში დამკვიდრდა... სევდაც კი გვეუფლება მისი განუმეორებლობისა და იმ ადამიანების გამო, ვინც ვერ მოესწრო ახალი წლის გათენებას და უკვდავებას შეეუღლა, ჩვენ კი უმაღლეს სულიერებას გვაზიარა: „ღმერთო, ნუ მომაკლებ გასაჭირს, რომ სული ვწვართო, ოღონდ ისეთ გასაჭირს, რომ მიჭირდეს მარტო მე“ — ასე დაგვემშვიდობა მსოფლიო კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი. არანაირი ღირსებით ისე არ ამაყობს კაცი, როგორც სულიერებით და მხოლოდ აწმყოა ნამდვილი და ჭეშმარიტი, მხოლოდ მასში მიმდინარეობს ჩვენი ყოფიერება. ამიტომ მინდა ბედნიერი ახალი წელი და ბედნიერი ცხოვრება გისურვოთ, ცხოვრება, რომელიც შეიძლება ტილოს მოქარგულ ნაჭერს შევადაროთ, რომლის წაღმა პირსაც ჩვენი საამაყო სტუდენტობა ხედავს, უკუღმა პირს კი — ჩვენ, უფროსი თაობა. მართალია, უკუღმა პირი მშვენიერებას მოკლებულია, მაგრამ გაცილებით მეტს გვასწავლის, რადგანაც მასზე შეიძლება თვალი გავადევნოთ როგორ ეწვნიან ძაფები ერთმანეთს... უნივერსიტეტი კი თაობათა შერწყმის და მარადიული გაზაფხულის ადგილია!

გილოცავთ უნივერსიტეტელებო! სიხარულით მიიღეთ აწმყო, დატკბით ყოველი წამით და ახალ სიცოცხლედ მიითვალეთ ყოველი ახალი დღე!

გული შერვაშიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

ბედნიერების და ახალი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის 2014 წელი.

ყველას ერთად გვეამაყოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიღწევებით და მათი ღირსეული წვლილით ქართველი ერის ჯანმრთელობის, გამრავლებისა და წინსვლის საქმეში!

საუკეთესო სურვილებით
ჯუმბერ უნგიაძე

ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს, რიგით თანამშრომელსა და სტუდენტს მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი. მინდა ჯანის სიმრთელე, ულევი სიხარული და წარმატებული მომავალი წელი გისურვოთ თქვენ და თქვენს ოჯახებს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის წინსვლისა და წარმატებებისათვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ღირსეული მომავალი თაობის აღზრდისათვის, რისი მიღწევაც მხოლოდ ერთმანეთის თანადგომითა და პირადი პასუხისმგებლობით არის შესაძლებელი.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს შობა-ახალი წლის შემობრძანება ყოველი თქვენგანის ოჯახში!

მერაბ ხალვაში,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

გილოცავთ!

ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს. იმედი მაქვს, გაგრძელდება გონივრული რეფორმები და ახლად შექმნილ ფაკულტეტებზე დეპარტამენტი გახდება ფაკულტეტის შემადგენელი ნაწილი და შეიძენს რეალურ ფუნქციას. მისი ქმედითუნარიანობის ამაღლების მიზნით კი, სამეცნიერო მიმართულებათა განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, დაფუძნდება კათედრები ან პროგრამული მიმართულებები.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს კოლეგებს ვულოცავ ახალ წელს, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად ერთადერთი და სწორად ფორმირებული ფაკულტეტის შექმნას, რაც უდავოდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ბათუმში ფუნდამენტურ სამეცნიერო მიმართულებათა შემდგომ განვითარებაში.

დაე, ახალმა წელმა უნივერსიტეტის ისტორია დაამშვენოს და შეავსოს ახალ-ახალი მიღწევებით და წარმატებებით.

ვლადიმერ ბალაძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორი

იწურება დეკემბერი და მასთან ერთად, 2013 წელი. ყველა მოუთმენლად ელოდება ახალი წლის დადგომას, ვინაიდან ახალი წელი ყოველთვის ასოცირდება რაღაც ახალთან, ამაღლებულთან, უჩვეულოსთან. ჩემს სტუდენტებსა და კოლეგებს, მთელ საქართველოს ვულოცავ დამდეგ ახალ, 2014 წელს. ვუსურვებ ახალ წარმატებებს, სიხარულს, პრობლემების მოგვარებას და ბედნიერებას.

რუსუდან კეჟაჲმაძე,
ასოცირებული პროფესორი

ახალ, 2014 წელს გილოცავთ!

წარმატებულ და იმედის მომცემ წელს გისურვებთ!

დღეს მნიშვნელოვანია - გონება-გახსნილი, მოქნილი, განვითარებაზე ორიენტირებული, შემოქმედი, რისკიანი, მოტივირებული, კომუნიკაბელური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადება. სწორი არჩევანის გაკეთების უნარი, საუკეთესოთა გამორჩევა და გამორჩეულთა სწორი მოტივირებაა საჭირო.

დღეს — სწორედ დღევანდელ დღეს ნიშნავს და არა ხვალინდელს. ხვალ უფრო რთული და დინამიური გარემო გელით. დრო აღარ ითმენს - მომავალი წარმატება ახლა და აქ იქმნება! და როგორი იქნება ის, თქვენზეა დამოკიდებული.

2014 წელი წარმატებული იქნება და ყოველი ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს ამ წარმატებაში.

როსტომ ბერიძე,
ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი,
სრული პროფესორი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2013

ისტორია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დიდი წარსულისა და პოტენციის მქონე ფაკულტეტია. იგი შეიქმნა 2005 წელს და მასში გაერთიანდა უნივერსიტეტის ტრადიციული, წარმატებული ისტორიის მქონე ფაკულტეტები და მიმართულებები: ქართული ფილოლოგია, რუსული და დასავლეთევროპული ფილოლოგია, ისტორია, პედაგოგიკა-ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი წლების განმავლობაში იცვლიდა სტრუქტურას, სახელწოდებას, შემადგენლობას. 2010 წლის ოქტომბერში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული რეფორმების შედეგად, ჰუმანიტარული მიმართულებები შეუერთდა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტს. კანონზომიერია, რომ 2013 წლიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კვლავ დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობს.

ამჟამად ფაკულტეტი აერთიანებს შემდეგ ჰუმანიტარული მიმართულებებს: ქართული ფილოლოგია; ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია; უცხოური ენების ფილოლოგია (ევროპული, სლავური, თურქული); ფილოსოფია.

ეს მიმართულებები გაერთიანებულია ხუთ დეპარტამენტში:

- ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი;
- ევროპეისტიკის დეპარტამენტი;
- სლავისტიკის დეპარტამენტი;
- ფილოსოფიის დეპარტამენტი;

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ფაკულტეტზე არჩეულია 68 პროფესორ-მასწავლებელი (19 სრული პროფსორი, 32 ასოცირებული პროფესორი, 17 ასისტენტ პროფესორი).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის, - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა,—საგანმანათლებლო პროგრამებს. სწავლება-სწავლის პროცესის განვითარების მიზნით აუცილებელია არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა; ფაკულტეტის ბაზაზე ახალი ჰუმანიტარული მიმართულებების/პროგრამების შექმნა; სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვა; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება; მიმზიდველი სასწავლო გარემოს შექმნა, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება და ეფექტურად გამოყენება.

ბაკალავრიატი: ფაკულტეტზე მოქმედებს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- ქართული ფილოლოგია
- რუსული ფილოლოგია
- თურქული ფილოლოგია
- ინგლიური ფილოლოგია
- გერმანული ფილოლოგია
- ფრანგული ფილოლოგია
- ისტორია
- თურქეთისმცოდნეობა;
- ფილოსოფია;
- თარგმანმცოდნეობა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტრადიციულად, ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის მიმართულებებს ეყრდნობა. ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტები, ეს არის ის ბირთვი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ეს ფაკულტეტი.

როცა ვსაუბრობთ უნივერსიტეტის მისიაზე, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ძლიერების სათავეზე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ჯანსაღი ეროვნული იდეალების მატარებელი ახალგაზრდა თაობის, ქვეყნის ღირსეული მომავლის აღზრდაზე, ამ მისიის განხორციელების საფუძველი სწორედ ეროვნული დისციპლინების — საქართველოს იტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული კულტურის ისტორია — სწავლების გაძლიერებაა. ეს არის სფერო, სადაც ვერ დავეყრდნობით მხოლოდ ბაზრის მოთხოვნებს და პრაქტიკულ-გამოყენებით მიზნებს. ეროვნულ დისციპლინებსა და საგანმანათლებო პროგრამებს სახელმწიფოებრივი ინტერესი და ზრუნვა სჭირდება. ეს არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რაც აისახა საგანგებო სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც სწორედ მიმდინარე სასწავლო წლიდან ამოქმედდა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტს აძლევს ფართო განათლებას, სწავლების პირველი სემესტრი საფაკულტეტოა და, ძირითადად, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დისციპლინებს ეთმობა, რაც ხელს უწყობს, სტუდენტს ინტერდისციპლინური ხედვის გამომუშავებაში და იმაში, რომ სწავლების მეორე სემესტრიდან, ძირითადი სპეციალობის არჩევისას, მოტივირებული არჩევანი გააკეთოს.

გამართლებულია ფაკულტეტის ფარგლებში დეპარტამენტთშორისი პროგრამების არსებობა, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდება საბაკალავრო პროგრამა თარგმანმცოდნეობა, რომელიც სწორედ წარმატებული დეპარტამენტთშორისი საქმიანობის შედეგია და, ვფიქრობთ, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამა იქნება.

დამატებით სპეციალობებთან მიმართებაშც საგულისხმო სიახლეა, კერძოდ, იგეგმება დამოუკიდებელი მინორების შექმნა, მაგალითად, გეოლოგიაში, რომელზე მუშაობაც უკვე დასრულებულია. ეს იქნება ინტერდისციპლინური პროგრამა, რომლის შემუშავებაში ფაკულტეტის რამდენიმე დეპარტამენტმა მიიღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ ყველა დეპარტამენტი მუშაობს ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც ფაკულტეტს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანსა და მიმზიდველს გახდის მომავალი აბიტურიენტებისათვის.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე ევროპეისტიკის დეპარტამენტის ახალ საბაკალავრო პროგრამაზე, რომელზე მუშაობაც უკვე დასრულებულია. ესაა ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში. ამ პროგრამის შექმნის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა სწავლების ინტერნაციონალიზაციამ: ბოლო წლებში ფაკულტეტზე გაიზარდა უცხოელი სტუდენტთა რაოდენობა (თურქეთი, საბერძნეთი, რუსეთი და სხვ.), რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას; ყოველწლიურად გაცვლითი პროგრამების ფარგლებში გვყავს სტუდენტები (ერთი ან ორი სემესტრით). მათი ინტერების გათვალისწინებით, შეიქმნა და ამოქმედდება ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელშიც, რა თქმა უნდა, კრედიტების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაეთმობა ქართული ენის ინტენსიურ შესწავლას. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული პროგრამა არ იქმნება მხოლოდ უცხოელი სტუდენტებისათვის, ეს იქნება ასევე პროგრამა პირველკურსელთა იმ საპილოტე ჯგუფისათვის, რომლებიც მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას. აღვნიშნავთ, რომ მზაობა ამგვარ პროგრამაზე სწალისათვის არის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის.

ვფიქრობთ, ჩვენი რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, აქტუალური და მნიშვნელოვანია ჩვენს უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების განვითარება, კერძოდ, თურქეთთან, ირანთან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ისტორია, ლინგვისტიკა, ლიტერატურის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორი და ა.შ.) საერთო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ექსპედიციების და ა.შ. განხორციელება (ამ ქვეყნებში ისტორულად ქართული წაროშობის მოსახლეობის არსებობის გათვალისწინებით), ასევე საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობა: გაცვლითი პროგრამები, ამ ქვეყნებიდან სტუდენტთა მოზიდვა ჩვენს უნივერსიტეტში, რაც სავსებით რეალურია.

შესაბამისად, ვფიქრობთ, უკვე მომწიფდა საკითხი აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შექმნისა, სადაც გაერთიანდება თურქული ფილოლოგიისა და თურქეთის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული პროგრამული მიმართულებები წლების მანძილზე წარმატებით ახორციელებს საბაკალავრო (ძირითად-მაჯორ, დამატებით-მინორ) და სამაგისტრო პროგრამებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებას აქვს შესაბამისი რესურსები — თურქოლოგის კაბინეტი, კავშირები თურქეთის უნივერსიტეტებთან, რაც თანამშრომლობის კარგ პერსპექტივებზე მეტყველებს (სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლებთა გაცვლა, საზაფხულო სკოლები და ა.შ.).

მაგისტრატურა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებია:

- ლინგვისტიკა (ზოგადი, გამოყენებითი და ქართველური ენათმეცნიერება; რუსული ფილოლოგია და კულტურათშორისი კომუნიკაცია; თარგმანმცოდნეობა);
- ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურამცოდნეობა (ძველი, ახალი, უახლესი ქართული ლიტერატურა;ფოლკლორისტიკა);
- ევროპეისტიკა (ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; ტრანსლატოლოგია; ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა);
- ისტორია (საქართველოს, ევროპა-ამერიკის, თურქეთს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია-ანთროპოლოგია);

მიმდინარე სასწავლო წლიდან ევროპეისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ორი ახალი მოდული დაემატა: ტრანსლატოლოგია და ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა, რამაც ეს პროგრამა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და კონკურენტუნარიანი გახადა.

ამ ეტაპზე დეპარტამენტებში მიმდინარეობს მუშაობა ახალ სამაგისტრო პროგრამებზე.

მიმდინარე წელსაც ჩვენი უნივერსიტეტის მეოთხეეკურსელებისათვის დაგეგმილი გვაქვს ერთიანი სამაგისტრო გამოცდისათვის უფასო ინტენსიური მოსამზადებელი კურსის ჩატარება.

დოქტორანტურა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებია:

- ლინგვისტიკა;
- ლიტერატურათმცოდნეობა;
- ისტორია;
- არქეოლოგია;

ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელსაც აღნიშნულ პროგრამებზე მისაღებმა გამოცდებმა კონკურსის პირობებში ჩაიარა.

ფაკულტეტზე შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭო.

აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე. 2008 წლიდან, ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები დაასრულა და დოქტორის აკადემიური ხარისხი მოიპოვა ათობით ჩვენმა კოლეგამ, რომლებიც წლების მანზილზე ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების რეალურ საშუალებად იქცა. ფაქტიურად, ეს პროცესი ფაკულტეტის აკადემიური პოტენციალის გაძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებმა საშუალება მოგვცა, მთელი რიგ მიმართულებებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა აღმოგვეფხვრა და პრობლემები დაგვეძლია.

დოქტორანტთა მხარდაჭერის მიზნით, მომავალშიც ვაპირებთ დოქტორანტთა კონფერენციების ჩატარებას, რომ მათ მივცეთ კვლევის შედეგების პრეზენტაციის შესაძლებლობა.

რესურსცენტრები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს წლების განმავლობაში, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბაზაზე შექმნილი ცენტრები და კაბინეტები — ამერიკანისტიკის ცენტრი, თურქოლოგიის ცენტრი, ანგლისტიკის, რომანისტიკისა და გერმნისტიკის, ასევე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზნტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის კაბინეტები. ეს სასწავლო კაბინეტები აღჭურვილი სპეციალიზებული ბიბლიოთეკებითა და თანამედროვე ტექნიკით, რაც დიდ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს, ასვე პროფესორ-მასწავლებლებს მათ საქმიანობაში.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა: უნივერსიტეტის მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, თანამედროვე უნივერსიტეტში განუყოფელია სწავლება და მეცნიერული კვლევა. მხოლოდ მათი წარმატებული სიმბიოზის შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ ძლიერ და თანამედროვე უნივერსიტეტზე. ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების გაზრდას ხელს შეუწყობს სადოქტორო კვლევების განხორციელება და მეცნიერული კვლევების პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ გამოცემებში.

ფაკულტეტის პროფსორ-მასწავლებლები მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში; მიმდინარე წელს მომზადდა და ეროვნულ სამეცნერო ცენტრში საკონკურსოდ გაიგზავნა რამდენიმე საინტერესო პროექტი, რომლებიც, იმედი გვაქვს, მოიპოვებენ დაფინანსებას.

ფაკულტეტზე წლების მანძილზე ფუნქციონირებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევისა და კულტურული ანთროპოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრები, რომელთა ბაზაზე შეიქმნა ქართველოლოგიის ინსტიტუტი. სამწუხაროდ, სამეცნიერო ცენტრების რეორგანიზაციის შედეგად, ქართველოლოგიის ინსტიტუტი გაუქმდა და ახლა, ფაქტიურად, თავიდან გვიხდება მისი დაფუძნება. ფაკულტეტის საბჭომ უკვე განიხილა ეს საკითხი და ქართველოლოგიის ცენტრი კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას.

ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების წარმატებულად ორგანიზების ტრადიცია (ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში (2009), სემიოტიკის პირველი სამეცნიერო კონფერენცია (2010), ბიზანტინოლოგია საქართველოში-2 (2007) და -4 (2013), საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში - 1(2010) და

-2 (2012) და სხვ.), რაც მომავალშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებასა და ფაკულტეტის პოპულარიზაციას.

საგამომცემლო პროექტები: ფაკულტეტზე ხორციელდება სხვადასხვა საგამომცემლო პროექტი, გასულ წლებში გამოდიოდა სხვდასხვა დარგობრივი კრებული, ეს პროექტები მომავალშიც გაგრძელდება.

დაწყებულია მუშაობა ფაკულტეტზე რეცენზირებადი ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის შესაქმნელად, მიღწეულია შეთანხმება ექსპერტთა ნაწილთან. ამგვარი გამოცემა არა მარტო დაეხმარება პროფესორ-მასწავლებლებს კვლევის შედეგების პუბლიკაციასა და ინტერნაციონალიზაციაში, ასევე დოქტორანტებისთვის იქნება სტიმული კვლევების განვითარებისათვის.

ყოველმხრივ წახალისებული იქნება სხვადასხვა ჰუმანიტარულ მიმართულებაში სახელმძღვანელოების თარგმნა და ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელოებისა და სალექციო კურსების შექმნა და პუბლიკაცია.

საზაფხულო სკოლები: ჩვენი უნივერსიტეტის პოტენციური შესაძლებლობების, ასევე მისი გამორჩეული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, პერსპექტიულია ფაკულტეტზე საზაფხულო სკოლების პროექტების განხორციელება, რაც უკავშირდება ტრიმესტრული სწავლების პრინციპის დანერგვას. ამ მიმართულებით უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები და სამომავლო გეგმები: კერძოდ, წარმატებით მუშაობს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა (გერმანიის უნივერსიტეტებთან ერთად), რომლის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულნი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მაგისტრანტები, დოქტორანტები.

რამდენიმე წელია წარმატებით მუშაობს დოქტორანტთა საზაფხულო სემინარი დაად-ის ფონდთან თანამშრომლობით.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს საზაფხულო სკოლის პროექტის განხორციელება სხვა მიმართულებებითაც.

სტუდენტთა მხარდაჭერა: სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სწვლებისა და კვლევის პროცესების წარმართვაში, რაც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ, გონებრივ და ემოციურ განვითარებას. სტუდენტი არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სწავლების ობიექტად, არამედ უნდა გამოიკვეთოს მისი, თანასწორი მონაწილეობა როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესებში. როცა ვსაუბრობთ სტუდენტზე ორიენტირებულ უნივერსიტეტზე, მხედველობაში სტუდენტთა მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა გვქონდეს. ჩვენი ფაკულტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა სტუდენტთა ღონისძიებების სიმრავლით. ჩვენი სტუდენტები დღესაც აქტიურად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის, საერთაშორისო განათლების ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით, სისტემატურად იმართება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების პრეზენტაციები (ევროპული განათლების დღე, ამერიკული განათლების დღე, შემოქმედებიტი წერის კონკურსები და ა.შ.).

რადგან საუბარი შეეხო სტუდენტურ თვითმმართველობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას, აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია,ამოქმედდეს საკარიერო ოფისი (როგორც საუნივერსტეტო, ასევე საფაკულტეტო), რომელიც არა მარტო კურსდამთავრებულთა დასაქმების, არამედ ბაზრის მოთხოვნებს, ტენდენციებს, და მომავალი დასაქმების პერსპექტივებსაც შეისწავლის. ეს კვლევები გამოავლენს არა მარტო ჩვენს რეიტინგს, არამედ დაგვეხმარება სამომავლოდ კურსდათავრებულთა დასაქმების პრობლემების გადაწყვეტასა და, საერთოდ, ჩვენი მუშაობის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძლიერი მხარეებია:

- სტუდენტთა სტაბილური რაოდენობა;
- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები;
- დამსაქმებელთა ინტერესი;
- სამეცნიერო პოტენციალი, წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა;

კომპეტენტური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

რა თქმა უნდა, გვაქვს სირთულეები და სუსტი მხარეებიც: ფინანსური რესურსების სიმწირე; გაუმართავი ინფრასტრუქტურა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან; მუდმივი ზრუნვა გვმართებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც უმნიშვნელოვანესია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს შესაბამისი აკადემიური პოტენციალი და რესურსები, რომ დასძლიოს სირთულეები და განახორციელოს დასახული მიზნები, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და, ამის საფუძველზე, მომავალი თაობის კონკურენტუნარიან სპეციალისტად აღზრდასა და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

ამგვარი ოპტიმიზმით, სამომავლო გეგმებითა და იმედებით ვხვდებით ახალ წელს, რომელიც, ვფიქრობთ, წარმატებული იქნება ჩვენი ფაკულტეტის, უნივერსიტეტისა და მთელი ქვეყნისათვის. ბოლოს კი, ჩემი საყვარელი (და)ლოცვით დავასრულებ: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!

მარინე გიორგაძე
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ტურიზმის ფაკულტეტი

2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრი ტურიზმის ფაკულტეტისათვის ნაყოფიერი და სიახლეებით აღსავსე აღმოჩნდა. წარმატებულად განვახორციელეთ შემდეგი პროექტები:

გერმანიაში სასწავლო-საგანმანათლებო პრაქტიკა 30 სტუდენტისათვის. ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი;

,,საგანმანათლებლო და ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციების III პრაქტიკული კონფერენცია;

ახალგაზრდული ფორუმი: ,,ტურიზმის განვითარება აჭარაში და ახალგაზრდობის ჩართულობა;

მასტერკლასები **„Radisson Blu Iveria Hotel, BaTumi“ -** ში და გენერალური მენეჯერის ტორბიონ ბოდინის ღია ლექციები;

ღია ლექცია საქართველოს ისტორიაში აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

შობა-ახალი წლის აღნიშვნა სასტუმრო „ინტურისტში“.

მიმდინარე სემესტრში ტურიზმის ფაკულტეტის 34 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაში. ამ დროისათვის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ გერმანიაში, ნორვეგიაში, თურქეთსა და პოლონეთში.

სამომავლო გეგმები კი ტურიზმის ფაკულტეტს მრავლად აქვს:

2014 წლის 3-10 მარტს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორები პაატა ჩაგანავა, მერაბ დიასამიძე და მოწვეული მასწავლებლები: ბაჩანა შელია, ნინო ხახუბია და თამარ ბერიძე მონაწილეობას მიიღებენ ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაში - ITB -ბერლინი.

ამავდროულად, უკვე დაგეგმილია ტურიზმის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის პაატა ჩაგანავას ორკვირიანი ვიზიტი ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტში, სადაც ის პროექტის „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში მდგრადი ტურიზმისა და ინოვაციების სფეროში განათლება გაეცნობა თანამედროვე სწავლების მეთოდებს, ელექტრონული საუნივერსიტეტო მართვის სისტემას და ამავდროულად მოინახულებს ტურიზმის ფაკულტეტის 5 სტუდენტს, რომლებიც ერთი წლით იმყოფებიან ტელემარკის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სტუდენტურ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით. 10 თებერვლიდან დაიწყება და ერთი თვე გაგრძელდება ნორვეგიაში სწავლის მსურველთა რეგისტრაცია, რომლებსაც ნორვეგიელ და ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენტური კომისია კონკურსის წესით შეარჩევს, პრიორიტეტი აკადემიურ მოსწრებას და ინგლისური ენის ცოდნას მიენიჭება. შერჩეული 7 წარმატებული სტუდენტი კი 2014-2015 სასწავლო წელს სრული დაფინანსებით ტელემარკის უნივერსიტეტში „ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობაზე ისწავლიან.

დღეისათვის ტურიზმის ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსზე შექმნილია, ,,სპეციალური ჯგუფი სადაც მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტები სწავლობენ, ნიშანდობლივია ის, რომ აღნიშნულ ჯგუფში სტუდენტები სემესტრების მიხედვით როტაციას განიცდიან, რაც სტუდენტებში კარგად სწავლის მოტივაციას ზრდის.

ფაკულტეტზე, ლექციებს და მასტერკლასებს პერმანენტულად კითხულობენ: გერმანელი და ამერიკელი ტურიზმის ექსპერტები.

2014 წლის 5-6 ივლისს ტურიზმის ფაკულტეტისა და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართება V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების, გერმანიის, ამერიკის, თურქეთის, ლატვიის, ნორვეგიის, ბელორუსიის, უნგრეთის, ყირგიზეთის პროფესორები და ტურიზმის დარგის სპეციალისტები, ასევე ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები. აღნიშნული კონფერენცია მიეძღვნება აჭარის მაღალმთიანი რეგიონის პოპულარიზაცია, კერძოდ კი სხალთა-ხიხანის ხეობა.

ფაკულტეტი ჩვეულ რიტმში აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას და სტუდენტთათვის მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მომხიბვლელი სასწავლო გარემო.

დასასრულს კი წარმატებულ და იმედის მომცემ 2014 წელს გისურვებთ!

როსტომ ბერიძე,
ფაკულტეტის დეკანი,
სრული პროფესორი

გილოცავთ!

ჩემს უნივერსიტეტელებს, პროფესორ მასწავლებლებს, სტუდენტებსა და სრულიად საქართველოს მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ 2014 წელსა და შობას. მინდა ყველას ვუსურვო ჯანმრთელობა, სიმხნევე, ხვავი, ბარაქა, ოჯახში დოვლათი. წრფელი გულით მინდა გისურვოთ, რომ 2014 წელი ყოფილიყოს საქართველოს წარმატების, გამთლიანებისა და გაბრწყინებისაკენ სვლის დასაწყისი.

გილოცავთ, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ომარ ფარტენაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი



ჩემო ძვირფასო კოლეგებო და სტუდენტებო, გილოცავთ ახალ 2014 წელს. 2013 წელი ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. მე ისევ სტუდენტი გავხდი. ახალ წელს ახალი იდეები, ახალი პროექტები მოაქვს. კიდევ ერთი წელი დგება ჩემი, თქვენი, ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის, სწავლის, მეგობრობის, სიყვარულის გამოცდის. გისურვებთ ამ გამოცდის ღირსეულად ჩაბარებას ჩემი, თქვენი უნივერსიტეტის, ჩვენი ქვეყნის, სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ.

შორენა ვაშაძე,
ასოცირებული პროფესორი



უკვე რამდენიმე დღეც და ყველა ჩვენგანის ოჯახში ზეიმით შემოაბიჯებს წარმატებებისა და ბედნიერების მოლოდინით აღსავსე ახალი წელი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებს, რექტორატს, ადმინისტრაციას, სრულიად საქართველოს მოსახლეობას ვულოცავ ახალი 2014 წლის დადგომას, შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ხვავს და ბარაქას, ერის ერთიანობას. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი განსაკუთრებული სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება უნივერსიტეტის იმ თანამშრომლებისადმი, ვისაც თავისი მოკრძალებული წვლილი უშურველად შეაქვს წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდში. უფალი გფარავდეთ ყველას.

პატივისცემით
დავით ბარათაშვილი,
ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი,
ააიპ წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდის პრეზიდენტი

გილოცავთ!



ძვირფასო უნივერსიტეტელებო, გილოცავთ დამდეგ ახალ 2014 წელს! გისურვებთ წარმატებებს სამსახურში, კეთილდღეობას ოჯახში, ყველა საანუკვარი ოცნების ასრულებას. ცხოვრების სამომავლო გზებზე კეთილ და გულისხმიერ ადამიანებთან შეხვედრას, თვალებზე კი, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლს.

იმრავალჟამიერეთ!!!

ირაკლი გორგილაძე,
სოციალურ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

2014 წლის დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს. დაე, ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, ჯანმრთელობის, სიკეთისა და სიუხვის მომტანი მთელი მსოფლიოსათვის. ვუსურვებ საქართველოს გამთლიანებას, ეკონომიკურ აღმავლობასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

უფალი იყოს თქვენი მფარველი!

პატივისცემით დავით ძათამაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სულ რამდენიმე დღეც და კიდევ ერთ წელს მიითვლის ისტორიის იდუმალი მეანაბრე, კიდევ ერთ წელს ჩავაბარებთ წარსულს, კიდევ ერთი წელი ჩაგვლევა შეუმჩნევლად და წაიღებს სიხარულს, სევდას თუ ტკივილს... სულ რამდენიმე დღეში დადგება 2014 წელი და როგორც ყოველთვის, ჩვეული რიტმით გავაგრძელებთ ცხოვრებას. ყოველი ახალი წელი საუკეთესო საშუალებაა ძველის დასავიწყებლად და ახლის დასაწყებად... ნათელი და იმედიანი მომავლის მოლოდინში დგას დღეს საქართველო და ბუნებრივია, ამ მოლოდინს უერთდება ჩვენი უნივერსიტეტიც.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, სტუდენტ-ახალგაზრდობასა და მათ ოჯახებს, სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. ბედნიერების, სიხარულის, სურვილების ასრულებისა და წარმატებების ავტორი და შემოქმედი ყოფილიყოს თითოეული უნივერსიტეტელისა და მთლიანად საქართველოსათვის ახალი 2014 წელი.

ნანა მაკარაძე,
ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ასოცირებული პროფესორი

სრულიად საქართველოს, ჩემს სათაყვანებელ კუთხეს, მშობლიური უნივერსიტეტის კოლექტივსა და სტუდენტობას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2014 წელი საუკეთესო ცვლილებების, სიხარულის, წარმატებების, სურვილების ასრულების, მშვიდობის, სიძლიერის, სიმტკიცისა და სტაბილურობის მომტანი ყოფილიყოს თითოეულ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი, მომავალ თაობას, ჩვენს სტუდენტობას შრომისმოყვარეობით, პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულითა და ერთგულებით თავისი წვლილი შეეტანოს ქვეყნისა და ჩვენი უნივერსიტეტის წინსვლაში.

ღმერთის კურთხევა არ მოკლებოდეს ჩვენს ერს.

მარინა ქორიძე,
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და
ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი
ასოცირებული პროფესორი

უფასო სამედიცინო გამოკვლევები ზემო აჭარაში

2013 წლის 1 დეკემბერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის მიმართულების პროფესორებმა და უნიმედი აჭარა ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ექიმებმა, ხულოს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ქსელში არსებულ შუახევის საავადმყოფოს ბაზაზე, აღჭურვილი თანამედროვე ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური აპარატურით, განახორციელეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები.

ხიხაძირის ხეობა განსაკუთრებული გეოგრაფიული ლანდშაფტით ხასიათდება, რაც ართულებს პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიწოდებას. აქცია მიზნად ისახავდა პირველადი დიაგნოსტიკის საფუძველზე-ექიმის კონსულტაციას, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ კვლევებს (რენტგენოლოგიური და ექოსკოპიური) პრობლემის იდენტიფიკაციას და საჭიროების შემთხვევაში პაციენტის მიზანმიმართულ რეფერალს. აქციის ფარგლებში სხალთა - ხიხაძირის ხეობის - თხილვანას, ხიხაძირის, ფუშრუკაურისა და სხალთის თემების მოსახლეობისათვის ჩატარდა უფასო სამედიცინო გასინჯვა ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დიაგნოსტიკა (თერაპიის, პედიატრიის, კარდიოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, უროლოგიის, ალერგოლოგიის, ქირურგიის, ანგიოლოგიის, ონკოლოგიის, რადიოლოგიის, ნევროლოგიის, ოტორინოლარინგოლოგიის, ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სტომატოლოგიის მიმართულებით). აქციაში ასევე, ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტები.



ხიხაძირისა და ფუშრუკაურის ამბულატორიებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უფასოდ გადასცა პირველადი საჭიროების მედიკამენტები.

ექიმებმა სამედიცინო დახმარება გაუწიეს 180-მდე ადამიანს, ჩატარდა 320 დამატებითი სამედიცინო კვლევა. დიაგნოსტირებულ ნოზოლოგიათა შორის დომინირებს ძვალ-კუნთოვანი სისტემის, ენდოკრინოლოგიური, კარდიოლოგიური, ნევროლოგიური პრობლემები.

მონაწილე ექიმების მაღალი კვალიფიკაცია და გულისხმიერებამ, თანამედროვე კლინიკის პირობებში ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევების ხელმისაწვდომობამ და პაციენტების ტრანსპორტით უზრონველყოფამ გამოიწვია მოსახლეობის გულრწფელი მადლიერება. აჭარის ა.რ. ორი ფლაგმანის — უმაღლესი განათლების და ჯანდაცვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უნიმედი აჭარა ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს

მონაწილე ექიმების მაღალმა კვალიფიკაციამ და გულისხმიერებამ, თანამედროვე კლინიკის პირობებში ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევების ხელმისაწვდომობამ და პაციენტების ტრანსპორტით უზრონველყოფამ გამოიწვია მოსახლეობის გულრწფელი მადლიერება. აჭარის ა.რ. ორი ფლაგმანის — უმაღლესი განათლების და ჯანდაცვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უნიმედი აჭარა ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ერთობლივი აქცია შესრულდა მაღალ პროფესიონალურ დონეზე.

სალომე ღლონტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, უნიმედი აჭარა ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს თერაპიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თამარ მხატვარი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი, უნიმედი აჭარა ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ხარისხის მენეჯერი

ბსუ-ში დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ქრომატოგრაფიული ცენტრი იქმნება

2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურისა და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შეძენაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი პროექტი: დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრის შექმნა. მისი წარდგენა მოხდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. პროექტით გათვალისწინებულია სამი ხელსაწყოსა და დამხმარე აპარატურის შეძენა: **ულტრამაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფი ფოტოდიოდური, უი-ხილული, კონდუქტომეტრული, რეფრაქტომეტრული დეტექტორით; სუპერკრიტიკული ფლუიდური საექსტრაქციო სისტემა; აირსითხური ქრომატოგრაფი**

პროექტის საერთო ღირებულება 453 ათასი ლარია, აქედან 430 ათასი იქნება დაფინანსებული ფონდიდან, 3 ათასს გაიღებს პარტნიორი ორგანიზაცია შ.პ.ს. გეომარი, ხოლო 20 ათასი უნივერსიტეტის თანადაფინანსებაა.

შექმნილი ქრომატოგრაფიული ცენტრი საშუალებას მოგვცემს დასავლეთ საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების (აბორიგენული და არაადგილობრივი) და შავი ზღვის სანაპიროსა და მტკნარი წყალსატევების ბიორესურსების კომპლექსური ქიმიური კვლევის მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით. შესაძლებელი იქნება ბიოლოგიური ობიექტების ფიზიოლოგიურად და ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ქიმიური შედგენილობის, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური კლასის განსაზღვრის, პრეპარატული გამოყოფისა და იდენტიფიკაციის, სტრუქტურისა და ბიოაქტიურობის კორელაციის შესწავლა.

ჩამოყალიბებული ქრომატოგრაფიული კვლევის თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი რეგიონური ცენტრი დასავლეთ საქართველოში, გულისხმობს ახალი სამეცნიერო პროექტების, სადოქტორო პროგრამების, მემორანდუმების, სახელშეკრულებო თემების განხორციელებას, ახალ პარტნიორ ორგანიზაციებს საქართველოსა და უცხოეთის მასშტაბით. მნიშვნელოვნად გაიზრდება უნივერსიტეტის, როგორც რეგიონის სამეცნიერო ცენტრის ავტორიტეტი, დაინტერესება მისადმი და ცნობადობა, აგრეთვე ახალგაზრდების ინტერესი ქვეყნის პრიორიტეტად გამოცხადებულ საბუნებისმეტყველო და აგრარული მეცნიერებებისადმი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ მიმართულებით სტუდენტთა კონტიგენტს სწავლების ყველა საფეხურზე. პარტნიორი უნივერსიტეტების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ ხელსაწყოების მუშაობის პრინციპი, მაღალ მეცნიერულ დონეზე შეასრულონ საკვალიფიკაციო ნაშრომები ხელსაწყოზე მიმაგრებული სპეციალისტების დახმარებით. დასაქმების ბაზარზე უფრო მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი გახდება უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციული კურსდამთავრებულები.

ხელსაწყოთა გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მარტო წმინდა სამეცნიერო მიზნებით, არამედ კომერციული საქმიანობისათვის.

პროექტით გათვალისწინებულია სამეცნიერო/კვლევითი აპარატურის მონტაჟი, სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების მოწვევა და პრეზენტაცია 2014 წლის ივლის-აგვისტოში.

ალეკო კალანდია,
ქიმიის დეპარტამენტის
სრული პროფესორი

ოჯახი, ქალი, საზოგადოება

რამდენიმე დღეში ახალი წელი კარს მოგვადგება. ყველა ოჯახში საახალწლო სამზადისია, ახალ წელს ჩვენ ქართველები განსაკუთრებული ტრადიციებით ვხვდებით. საინტერესოა, როგორ უთავსებენ სამსახურს და ოჯახს წარმატებული ქალბატონები.

ამჯერად, გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ სამიზნე ქალბატონები ნანა ხახუტაიშვილი და მადონა მიქელაძე გახდნენ. ისინი სამსახურის, ოჯახის და საახალწლო სამზადისის შესახებ საუბრობენ.

ნანა ხახუტაიშვილი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელი.

— რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევა?

— პროფესია პატარაობიდან მქონდა განსაზღვრული. ჯერ სულ ბავშვი ვიყავი, როდესაც მამას, ცნობილ მეცნიერს, ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ დავით ხახუტაიშვილს დავყვებოდი არქეოლოგიურ ექსპედიციებში (უფლისციხე, ჭალადიდი, ყულევი, ფიჭვნარი, კახეთი). მოხიბლული ვიყავი არქეოლოგების საქმიანობით. აღტაცებას ვერ ვმალავდი, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრების ხელით დამზადებულ ნივთებს ვეხებოდი - ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მათი ცხოვრების მონაწილე ვხდებოდი. ეს საოცარი განცდაა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა., შემდეგ ვსწავლობდი ასპირანტურაში, დავიცავი დისერტაცია. სიყვარული ამ სპეციალობის მიმართ დღემდე გამომყვა და სხვა არჩევანზე არასოდეს მიფიქრია.

მახსენდება მამას მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამი ფრაზა: მთელი ცხოვრება იმ საქმეს ვემსახურებოდი, რომელიც ძალიან მიყვარდა. ამიტომ შრომა ჩემთვის ტვირთი კი არ იყო, არამედ სიამოვნება. მეც სიყვარულით ვემსახურები დღეს ჩემს საქმეს, ვმუშაობ საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებზე. ამასთან ერთად, უკვე 20 წელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვუკითხავ სტუდენტებს ლექციებს და ვცდილობ მათაც ჩავუნერგო ჩვენი ქვეყნის ისტორიისადმი, მისი წარსულისადმი სიყვარული.

— როგორ უთავსებთ ოჯახს და სამსახურს ერთმანეთს?

— ნამდვილად არ არის მარტივი სწორად გაანაწილო დრო ოჯახსა და სამსახურს შორის, მაგრამ ვფიქრობ, რომ განმსაზღვრელი აქაც სიყვარულია. უკვე ბებია ვარ ორი მშვენიერი გოგონას - 4 წლის მარიამის და 3 წლის ანასტასიას. როგორი დაღლილიც არ უნდა მოვიდე უნივერსიტეტიდან, სიამოვნებით ვხარჯავ დროს მათთვის და მათთან ერთად - ვხატავთ, ვძერწავთ, ვკითხულობთ ზღაპრებს, ვცეკვავთ კიდევაც, ვამზადებთ სადილს ან ვაცხობთ ნამცხვარს და დაღლილობაც სადღაც ქრება.

— როგორია თქვენი საახალწლო სამზადისი?

— სასურველია, ახალ წელი მთელმა ოჯახმა ერთად გაატაროს, მაგრამ ყოველთვის ისე არ გამოგვდის, როგორც გვინდა ხოლმე. მე ბათუმში ვმუშაობ და აქ ვცხოვრობ, ჩემი შვილი ოჯახით თბილისში და ხშირად არჩევანის წინაშე ვდგავარ, საახალწლოდ აქ დავრჩე, ოჯახის მეორე ნაწილთან, თუ შვილთან გავემგზავრო.

საახალწლო სამზადისის ყველაზე სასიამოვნო მომენტია შვილიშვილებისათვის საჩუქრების შერჩევა. ჩემი მომხიბვლელი გოგონები საჩუქრებს არა მარტო თოვლის ბაბუასგან, არამედ ბებიასგანაც ელოდებიან.

რაც შეეხება საახალწლო კერძებს, ამ მხრივ ტრადიციას არ ვარღვევთ. ჩემს ოჯახშიც, ისევე როგორც ალბათ ყველა ქართულ ოჯახში, აუცილებლად მზადდება გოზინაყი, ინდაურის საცივი, ბაქლავა, აჩმა. მიყვარს ტკბილეული და ახალი წლის ღამეს სუფრაზე ბევრი ტკბილეული მაქვს.

მადონა მიქელაძე — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების ფაკულტეტის დეკანი.

— როგორ დაიწყო თქვენი კარიერული წინსვლა?

— პროფესიული საქმიანობა დავიწყე საბაზო და საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად. ეს 90-იან წლებში იყო, შემდეგ უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა, ვიყავი რიგითი პედაგოგი, მსოფლიო ისტორიის კათედრაზე. დისერტაციის დაცვის შემდეგ კვლავ გავაგრძელე ისტორიის დეპარტამენტში მუშაობა, ვმუშობდი ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ 2 წლის განმავობაში, 4 წელი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ვიყავი, ახლა კი ვარ განათლების ფაკულტეტის დეკანი. რაც შეეხება პედაგოგიურ საქმიანობას, 2013 წლის აგვისტოდან გახლავართ პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

— როგორ უთავსებთ ოჯახსა და სამსახურს ერთმანეთს?

— ეს ერთ-ერთი რთული საკითხია, რომელზეც პასუხის გაცემა ყოველთვის მიჭირს. ხშირად მე თვითონ მიჩნდება კითხვა საკუთარ თავთან, როგორ ვუთავსებ ერთმანეთს ოჯახს და სამსახურს. ძალიან რთულია, როდესაც ქალი არის დაკაებული სამსახურით და ასეთი პოზიცია უჭირავს. ამავდროულად, ოჯახში ყავს მეუღლე და ორი შვილი (ბიჭები), მაგრამ მთავარი არის სიყვარული შენი საქმისადმი, შენი ოჯახისადმი, თუ შენი საქმე გიყვარს, შენი უნივერსიტეტი გიყვარს, შესაძლებელია ერთმანეთს ორივე შეუთავსო. არ არი სწორი როდესაც ოჯახი მიტოვეული გყავს, მაგრამ როდესაც ვფიქრობ, რომ აქ ორი კი არა — ათასობით სტუდენტი მელის და მათ ვჭირდები და თან ჩემი ორივე შვილი აქ სწავლობს, ყოველივე ამას გაგებით ეკიდებიან. ჩემს ასეთ მდგომარეობას, რომ არა ოჯახის დიდი მხარდაჭერა და განსაკუთრებით შვილების, ნამდვილად ვერ შევუთავსებდი ორივეს ერთმანეთს.

— როგორ იწყება და მთავრდება 31 დეკემბერი თქვენს ოჯახში?

როგორც წესი, სამსახურისაგან თავისუფალი 31 დეკემბერს ვარ. შესაბამისად, 31 დეკემბერი ჩემთვის არის დღე, როდესაც მინდა ყველაფერი მოვასწრო. ამ დღეს ოჯახში მეუღლე და ჩემი შვილები ნაძვის ხეს დგამენ, მე კი მხოლოდ შესაფასებლად მეძახიან. მეც სწორედ ამ დროს ვგრძნობ, რომ ახალი წელი მოდის.

მე კი, როგორც ყველა ქალი, 31 დეკემბერს ვატარებ სამზარეულოში. მინდა გემრიელი კერძები მოვუმზადო ოჯახის წევრებს. საახალწლო სუფრის სამზადისის დროს, ვითვალისწინებ მათ სურვილებს. ვცდილობ რომ 12 საათისათვის ყოჩაღად ვიყო.

უპირველეს ყოვლისა, ყველა ქალს ვუსურვებ ოჯახურ ბედნიერებას, კარიერულ წინსვლას. რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი მაქვს მხედველობაში, ვუსურვებ წინსვლას განათლების სფეროში და წარმატებული კურსდამთავრებულების აღზრდას.

სალომე მუჟავანაძე,
ისტორიის სპეციალობის
მეოთხე კურსის სტუდენტი

გილოცავთ!

დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენს სახელოვან უნივერსიტეტს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ადმინისტრაციას, დამხმარე პერსონალს, სრულიად საქართველოს! მინდა, დიდი ილიას სიტყვებით გითხრათ, რომ „ამ წინდებულ ახალ წელიწადს ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი“ - აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა. დამდეგ 2014 წელს ვისურვებდი, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიმკვიდროს წარმატებული ადგილი მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს შორის. გულითადად გილოცავთ! დაე სიკეთის, სიუხვის, ბედნიერების, ახალი იდეების, პროფესიული წინსვლისა და წარმატებების წელი ყოფილიყოს!

პატივისცემით,
გიზო ფარცხალაძე
ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი

გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ყოველივე კარგის, ამაღლებულობის, სიწმინდის მომტანი იყოს ეს წელი ყველასათვის. უფალმა დაგვლოცოს, გაგვახაროს, შეგვეწიოს. უფლის კალთა გადაფარებოდეს ჩვენს ერს და ჩვენ, ადამიანთ კი, მოგვცემოდეს სიბრძნე და ცოდნა, მადლი და წყალობა. სიყვარული, სათნოება, სიხარული, სიკეთე, სინატიფე დავანებულიყოს ჩვენს გულებში. ძველ რომაელებს აქვთ გამოთქმა: დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად. უფლის ნებით, ჩვენი ერის, თითოეული ჩვენგანის ცვლილება სიკეთისაკენ მიმართულიყოს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს დამდეგი წელი. და ბოლოს, მილოცვა ნ. დუმბაძის სიტყვებით მინდა დავასრულო: შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოსი. გაავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, ბეღელი- პურით, მარანი- ღვინით, ახორი-საქონლით, კერიაფრინველით და გული -სათნოებით. ააჭრიამულე ეზო- კარი ყოველი ქართველისა ბადიშებით, შვილთაშვილებითა და მათი შვილებით. დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ჩვენს ქვეყანაში, არ მოუშალო გონიერი კაცი და მწყემსი საქართველოს. ნატვრის თვალი დაუდე ამ ახალი წლის ღამით სასთუმალს ყველა მშრომელს, რათა დილით ადგეს, ნახოს და მამულის უკვდავება ინატროს! მიიღე მამულო ჩემგან ეს ლოცვა!

ელზა ფუტკარაძე,
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ძვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო, თანამშრომლებო, გულწრფელი სიყვარულით მოგილოცავთ შობა-ახალ წელს.

დაე, ყოფილიყოს დამდეგი - 2014 - თითოეული ჩვენგანისათვის ჯანმრთელობის, ბედნიერების, განახლების მომტანი წელი.

წელი, საქართველოს გამთლიანება-გაბრწყინებისათვის შეუქცევადი აღმასვლის, პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური ძლიერების, სულიერი ამაღლების.

წელი, ერთიან ევროპულ ოჯახში დამკვიდრების, სწავლასა და სწავლებაში წარმატებების, სამეცნიერო სფეროში მნიშვნელოვანი განაცხადების.

ღმერთმა მოგვცეს ძალა და შთაგონება, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

მურმან (დავით) ცეცხლაძე,
ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ასოცირებული პროფესორი

ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტი - 55

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის 55 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა. ორი დღის განმავლობაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში სამეცნიერო სესია, ეთნოგრაფიული ფოტოებისა და ნაშრომების გამოფენა, წიგნის „აჭარული საუნჯე“ და ფილმის „საქართველოს ეროვნული გმირი - სელიმ ხიმშიაშვილი“ წარდგინება გაიმართა. საიუბილეო სამეცნიერო სესია გახსნა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების 55-წლიანი კვლევა-ძიების შედეგებზე ისაუბრა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ. მკვლევარებს მნიშვნელოვანი დღე ასევე მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ სულიკო თებიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ, ინსტიტუტის დირექტორმა როინ მალაყმაძემ, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა და ემერიტუს-პროფესორებმა: შუშანა ფუტკარაძემ, ამირან კახიძემ და აკაკი ბერიძემ.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტის პროფესორებმა: დოდო ჭუმბურიძემ, ლელა სარალიძემ და ნუნუ მინდაძემ, საქართველოს ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, „სტამბოლის ქართული სახლის“ დირექტორმა გიორგი ირემაძემ და სხვ. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საზეიმო გახსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტით დასრულდა.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი 1958 წელს დაარსდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა აჭარისა და მისი მომიჯნავე რეგიონების, მათ შორის თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართველებით დასახლებული რაიონების მეცნიერულ შესწავლას.

ინსტიტუტი გადაიქცა ქართველოლოგიური, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების კვლევის ძირითად კერად სამხრეთ—დასავლეთ საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში მკვლევარებმა შეისწავლეს აჭარისა და მისი მეზობელი სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ისტორიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, სოციოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. აღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნებულია 2300—მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 80—ზე მეტი მონოგრაფია, 90—ზე მეტი 8 დასახელების დარგობრივი კრებული.

2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა მიხედვით სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ მეორე ადგილი დაიკავა აკადემიის სისტემაში შემავალ ინსტიტუტებს შორის. ნაშრომებმა ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის დარგებში სპეციალისტთა ფართო აღიარება და მოწონება დაიმსახურა საქართველოს საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებშიც. გამოცემულ კრებულებს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სტანდარტის ნომერი და შეტანილია ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომებს შორის განსაკუთრებულია სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეული, „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“, „აჭარული საუნჯის“ I ტომი.

ინსტიტუტის არსებობის 55 წლის სამეცნიერო საქმიანობაში მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო კადრების მომზადება, სულ დაცულია 11 სადოქტორო, 38 საკანდიდატო და აკადემიური დოქტორის მოსაპოვებელი დისერტაცია. მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო კადრების აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წელს ინსტიტუტი დააჯილდოვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ინსტიტუტის სამეცნიერო წარმატებებში დიდია მისი ხელმძღვანელების, განსაკუთრებით ასლან ინაიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის დამსახურება. ასლან ინაიშვილი ინსტიტუტს დაარსებიდან ოცი წლის განმავლობაში ედგა სათავეში, ხოლო პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ—კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი - 21 წელი. 1999—2004 წლებში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას ასრულებდნენ პროფესორები გურამ ჩაგანავა (1999 წლის აპრილი—დეკემბერი), იური ბიბილეიშვილი (1999—2004), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ—კორესპონდენტი ვახტანგ შამილაძე (2004). 2006 წლიდან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულების დირექტორია ისტორიის აკადემიური დოქტორი როინ მალაყმაძე.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას აჭარისა და მისი მეზობელი ისტორიულ—ეთნოგრაფიული რეგიონების შესასწავლად.

გილოცავთ!

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მათ მშობლებს, ჩემი ერისა და ქვეყნის ყველა გულშემატკივარს მინდა მივულოცო დამდეგი ახალი წელი.

ფაკულტეტის სახელწოდების შესაბამისად მინდა გამოვხატო სურვილი, რომ ეს წელი სოციალური თანხმობის, ეკონომიკური წინსვლისა და სამართლიანობის დამკვიდრების წელი ყოფილიყოს.

ადამ მახარაძე,
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი

ჩვენი ახლად შექმნილი ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელით ვულოცავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტობას, ლექტორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას და ყველა თანამშრომელს ახალ 2014 წელს. ჩემი, როგორც ტექნიკურ მეცნიერებათა დარგის წარმომადგენლის სურვილია 2014 წელი აისახოს ჩვენს ქვეყანაზე, როგორც მნიშვნელოვანი გარღვევა ტექნოლოგიური, ინდუსტრიული და შესაბამისად, ეკონომიკური კუთხით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი უნივერსიტეტი, აკადემიური თანამდებობის პირები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის მომავლის შენებაში. ძვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო, მეგობრებო, ბავშვებო, საქართველოს მოქალაქენო 2014 წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით არის ცხენის წელი. დაე ყოფილიყოს ის სასიკეთო ცვლილებების მომტანი, შემოქმედებითი პოტენციალის აღზევების, სიყვარულის, კეთილგანწყობის, ეკონომიკური სიძლიერის, წარმატებების, დასაოჯახებელთათვის გაბედნიერებისა და დაოჯახებულთათვის ოჯახური სიმყუდროვის წელი.

ნუგზარ ღომიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სრული პროფესორი

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

გისურვებთ კეთილდღეობას, დღეგრძელობას, მზეგრძელობას, გასულ წელს დაწყებული წარმატებული პროექტების ეფექტურ გაგრძელებას, ახალ გეგმებს, კარიერულ და ფინანსურ წარმატებებს. სიხარული და სიყვარული, სიკეთე და ერთგულება, ღვთის წყალობა, უფლის რწმენა და უკეთესი მომავლის იმედი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

საუკეთესო სურვილებით
ლელა თავდგირიძე

2014 წელი მსხმოიარე წელიწადი ყოფილიყოს

ჩვენო განათლებულო, სულიერად და ხორციელად ამაღლებულო საზოგადოებავ, მოგესალმებით და გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას. ახალი, 2014 წელი, მიმავალ წელთან შედარებით, უფრო **„მსხმოიარე წელიწადი“** ყოფილიყოს ჩვენი სამშობლოსათვის. 1892 წელს „საახალწლო მიმოხილვაში“ დიდი ილია ასე ევედრებოდა უფალს: „ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალ—ღონე საქმის ქმნისა, ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველს იმას, **ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად მიიჩნევს მთელის ქართველობის ბედნიერებას** და ამ პატიოსანი სურვილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე; თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად“.

ჩემო გულითადო მკითხველო, მეც, თქვენი მონამორჩილი, სიამოვნებით ვიმეორებ დიდი ბრძენკაცის სიტყვებს; ვევედრები უფალს ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს გაჯანსაღებას, გაძლიერებას, სულიერად და მიწიერად გამთლიანებას, გაერთიანებას. ამასთანავე, ამ ახალ წელს ვთხოვ ჩვენი ერის გამოფხიზლებას და ვისურვებ, რომ ჩვენს ხალხს სხვისი დახმარების იმედით აღარ ეცხოვროს; ჩვენი ბარაქიანი მიწა, ჩვენი ულამაზესი, უძვირფასესი ბუნება გონივრულად მოეხმაროს და ისე გაძლიერებულიყოს; 2014—ში ერთხელ კიდევ გადაეკითხოს დიდი ილიას ანდერძი, რომელიც ასე გვმოძღვრავს: „ღვთის მიმართ ხელთ—აღპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ **ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმოქმედი, ხელ—გამომავალი კაცი უყვარს** და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს... ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავისთავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის“.

მიდის ჩვენგან დიდი მადლობით მოსაგონარი 2013 წელი. მან საქართველოს ისტორიას ერთი ლამაზი ფურცელი შეჰმატა. მიმავალ წელიწადს ისევ ილიას სიტყვებით გამოვეთხოვოთ: „ეგ წარსული წელი კარგა **მსხმოიარე წელიწადი** იყო ჩვენი ჭკუა-გონების და გულის სამოქმედოდ დაძვრისათვის და თუმცა თვითონ ვერა მოიმკო—რა, მაგრამ იმითაც სადიდებელია, რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა და ახალ წელიწადს დაულოცა: აი, მოვხან-მოვთესე, შენ მომკე და შეირგეო, ეხლა შენ იცი და შენმა გამრჯელობამა, მე—კი გეთხოვები სამუდამოდ და დასასრულ გეუბნები: რაც შევძელი, იგი ვქმენო!.. რა ჰქმნა ასეთი ამ განვლილმა წელიწადმაო, იკითხავს მკითხველი. ისა ჰქმნა, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში... ერთს ეძახიან **ძალას თვითმოქმედებისას** და მეორეს — **თავისთავის იმედისას“.**

ჩემო სამშობლოვ, ღმერთმა თვითმოქმედების ძალა გაგიასკეცოს და თავისთავის იმედი არ მოგიშალოს! 2014 წელი, ილიასეული სიტყვებით რომ შევამკოთ, ყოფილიყოს **„კარგა მსხმოიარე წელიწადი“,** ჩვენი ერი გააძლიეროს **„ფრთაასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ“, „ქართველი საქმიან კაცად გარდაჰქმნას მისის ქვებნის სასიხარულოდ და სასიქადულოდ“.**

შუშანა ფუტკარაძე
2013 წელი,
20 დეკემბერი

საინტერესო წიგნის განხილვა

მიმდინარე წლის 30 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერის, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების, პროფესორ ჯემალ გახოკიძის წიგნის „ბეწვის ხიდზე“ პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრა გახსნა და იქ დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალეკო ბაკურიძე.

ნაშრომი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სამართლის დოქტორმა გივი აბაშიძემ წარუდგინა.

წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები და პროფესორები იგორ კვესელავა ალეკო სიჭინავა, ვანო ჯაგოდნიშვილი, ჯემალ ჯანაშია, მალხაზ ბაძაღუა, ირაკლი გაბისონია, ჯუმბერ სურმავა, ჯემალ გახოკიძის მეგობრები, ცნობილ პიროვნებები დემურ ლელაძე, ბონდო ჯიქია, კაკო თამაზაშვილ და სხვები.

წიგნში, რომელიც ჯემალ გახოკიძის 60 წლისთავს მიეძღვნა ძირითადად გადმოცემულია მის პიროვნულ პორტრეტთან დაკავშირებული ნარკვევები, ასევე სხვადასხვა დროს პრესის ფურცლებზე მის მიერ გამოქვეყნებული მასალები, მისი თანამებრძოლების აზრები და მათი პიროვნული შეფასებები.

წიგნის შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ბონდო ჯიქიამ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა მალხაზ ბაძაღუამ, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა როსტომ ჯაფარიძემ, ჯემალ გახოკიძის თანაკურსელმა მურმან ხამაშურიძემ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორმა ანზორ მახარაძემ, სტუდენტებმა მარადი სანიკიძემ, კახა ფუტკარაძემ და ასლან შავაძემ.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო, საქართველოს ტექნიკურ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტებსა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გასულ წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ამავე ცენტრის ხელმძღვანელმა მ. ბაძაღუამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ გამოცემული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „კრიმინოლოგის“ მორიგი ნომრის რამოდენიმე ეგზემპლიარი.

შეხვედრის ბოლოს სიტყვით წიგნის ავტორი, ბატონი ჯემალ გახოკიძე გამოვიდა, რომელმაც პასუხი გასცა როგორც წიგნის შესახებ, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებზე. ამასთან, მადლობა გადაუხადა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ალეკო ბაკურიძეს, აღნიშნული ღონისძიების ინიციატორს გივი აბაშიძეს და იქ დამსწრე ყველა პირს ღონისძიებაზე მობრძანებისა და წიგნის განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მანვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ავტორთა კოლექტივის (პროფესორ გივი აბაშიძის თანაავტორობით) მიერ შედგენილი და მისი რედაქტორობით გამოცემული საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის (ზოგადი და კერძო ნაწილები) სახელმძღვანელოები.

ბოლოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალეკო ბაკურიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ჯემალს უნივერსიტეტში ჩამობრძანებისათვის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე უანგარო სამსახურისათვის, სამართალდამცავ და უშიშროების სფეროში მრავალწლიანი საქმიანობისა და როგორც მეცნიერსა და მკვლევარს, პედაგოგიურ და სამეცნიერო სფეროში გაწეული შრომისათვის.

პირველად აქაური ისტორიაში — რვა ქართველი აკადემიური დოქტორი აგრარულ მეცნიერებაში

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ მე-8 ნომერში

მირანდა გორგილაძე

ფორთოხლის წვენის ნატურალობის მახასიათებელი პარამეტრების დადგენა და მათი განსაზღვრის მეთოდიკების შემუშავება

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, **ეთერ ნიჟარაძე**

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **გურამ პაპუნიძე**

თემის აქტუალურობა. ციტრუსოვანთა წვენების ხარისხი დღემდე ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის მიერ წაყენებულ ყველა მოთხოვნას. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა იმ კვლევებს, რომლებიც მიმართულია მათი ხარისხის ამაღლებაზე. ციტრუსოვანთა წვენების ხარისხის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნატურალობის დადგენას, რადგან ნატურალობის დარღვევა ნიშნავს ფალსიფიკაციას.

ფალსიფიკაციის შედეგად, ერთის მხრივ, ირღვევა წვენების წარმოების ტექნოლოგია, რაც იწვევს სახელმწიფო ქონების დატაცებას და ნარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. განსაკუთრებით მასშტაბურია ციტრუსოვანთა წვენების ფალსიფიკაცია ნატურალური წვენების კონცენტრატების წარმოების დროს, როდესაც შესაძლებელი ხდება ნაყოფის მთლიანი შეცვლა გამონაწურით.

მეორეს მხრივ, ციტრუსოვანთა წვენების ფალსიფიკაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს წვენში ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების შეყვანასთან. მაგალითად, ციტრუსოვანთა წვენში ღვინის მჟავას ან სინთეზური ლიმონმჟავას, სხვადასხვა საღებავების, ემულგატორების, სინთეზური ამინომჟავების და სხვ., რაც იწვევს ეკოლოგიურად უვარგისი პროდუქციის წარმოებას.

ციტრუსოვანთა წვენების ფალსიფიკაციას ხელს უწყობს ხარისხის კონტროლის ობიექტური მეთოდების უქონლობა. აქედან გამომდინარე, ფორთოხლის წვენების ნატურალობის მახასიათებელი პარამეტრების დადგენა და მათი განსაზღვრის მეთოდიკების შემუშავება მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მეცნიერული სიახლე: კვლევის სიახლე, სპეციფიკურობა და ორიგინალობა განპირობებულია იმით, რომ ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე, დოქტორანტის მიერ პირველად შემოთავაზებულია ფორთოხლის წვენების ნატურალობის მახასიათებელი მეცნიერებულად დასაბუთებული პარამეტრები.

პირველად დადგენილი და შერჩეულია:

- ფორთოხლის წვენების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ზღვრული და საშუალო მნიშვნელობები, სტანდარტული გადახრები და ვარიაციის კოეფიციენტები;

ფორთოხლის წვენების ნატურალობის მახასიათებელი პარამეტრები და შემუშავებულია მათი განსაზღვრის მეთოდიკები.

პირველად შესწავლილია:

- ფორთოხლის წვენების ნატურალობის მახასიათებელი პარამეტრების ცვალებადობა ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების სეზონის განმავლობაში, წვენების შენახვის, თერმული დამუშავების პროცესში, აგრეთვე მათი ცვალებადობა ნიადაგურ - კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულებით;

ფორთოხლის წვენში დამატებული კანის ექსტრაქტის გავლენა ამინომჟავების შემცველობაზე და ნატურალობის მახასიათებელ პარამეტრებზე;

ფორთოხლის წვენში დამატებული გარეშე წვენებისა და კანის ექსტრაქტის გავლენა ულტრაიისფერ სპექტრებზე;

ნატურალობის მახასიათებელი პარამეტრების ცვალებადობა ნატურალობის სხვადასხვა სახის დარღვევის დროს;

პრაქტიკული მნიშვნელობა: სამუშაო მიეკუთვნება გამოყენებით კვლევებს, რომლის შედეგების გამოყენება შეიძლება: სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროებში, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის და განათლების სამინისტროებში, სურსათის ექსპერტიზის ლაბორატორიებში; სასამართლო და კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში; ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელიც აკონტროლებს კვების პროდუქციის ხარისხს; ფორთოხლის ნაყოფის სამრეწველო გადამუშავების საწარმოებში; კერძო ფირმებსა და წარმოებებში.

ნათელა დუმბაძე

ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავება მცირე ენერგეტიკის ბაზაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: იური ძირკვაძე — სრული პროფესორი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, **ზაურ მახარობლიძე** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

თემის აქტუალობა. საქართველოში მეჩაიეობას 150 წლიანი ისტორია აქვს. გასული საუკუნის 70-იან წლებში რესპუბლიკა მსოფლიოში ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მე-5 ადგილზე იყო და აწარმოებდა 130—140 ათას ტონა პროდუქციას. მე-20 საუკუნის ბოლოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა უარყოფითი ასახვა ჰპოვა სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე და განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა მეჩაიეობას. ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდებოდა მეჩაიეობის დარგის დაფინანსება. ამის გამო მიტოვებული და მოუვლელი დარჩა ჩაის პლანტაციების უმეტესი ნაწილი, რამაც გამოიწვია ბუჩქების გადაზრდა და პლანტაციების გატყევება. მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო ჩაის პლანტაციების ფართობები.

ჩაის პლანტაციებისათვის სამრეწველო ფუნქციის დაბრუნების მიზნით აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. დეგრადირებული და აღდგენისათვის ეკონომიკურად გაუმართლებელი პლანტაციები უნდა ამოიძირკვოს და ფართობები გაიწმინდოს ჩაის ან სხვა ალტერნატიული კულტურების გასაშენებლად. გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის და ამოძირკვის ტექნოლოგიური ციკლი ითვალისწინებს მძიმედ გასხვლის ტექნოლოგიური ოპერაციის ჩატარებას. მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგია დამუშავებულია ვაკეებსა და 8^0-მდე დახრილობის ფერდობებზე გაშენებული პლანტაციების გასხვლისათვის. ფერდობებზე გაშენებულ და მცირეკონტურიან ადგილებზე გასხვლითი სამუშაოები ტარდება ხელით, რაც დაკავშირებულია დიდ ენერგო და შრომით დანახარჯებთან.

ტექნიკური სამუშაოების დიდი მოცულობისა და მაღალი შრომატევადობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დამუშავდეს ახალი ენერგორესურს დამზოგი სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალება მცირე ენერგეტიკის ბაზაზე, რაც საშუალებას მოგვცემს მცირეკონტურიან ნაკვეთებზე ჩავატაროთ ჩაის მძიმედ გასხვლის ოპერაცია.

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას, კერძოდ მეურნეობის მრავალფორმიანობისა ჩაის პლანტაციების მცირე კონტურიანობისა და ფერდობებზე ჩაის პლანტაციების გასხვლისა და რეაბილიტაციისათვის სამანქანო ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავებას.

მეცნიერული სიახლე: დოქტორანტის მიერ პირველად დამუშავებულია გადაზრდილი ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო გასხვლის სამანქანო ტექნოლოგია მცირე მექანიზაციის ენერგეტიკის ბაზაზე;

დამუშავებულია სარეაბილიტაციო სასხლავი მოდულის კონსტრუქცია და მუშა ორგანოების საინჟინრო გაანგარიშების მეთოდიკა;

დარტყმის თეორიის გამოყენებით მიღებულია როტაციული დანებისა და ხერხის მიერ, ჩაის ღეროების ჭრის ძალის საანგარიშო ფორმულები და დასაბუთებულია მანქანის ძირითადი კინემატიკური და დინამიკური პარამეტრები;

სასხლავი მოდულის ამძრავში გარდამავალი დინამიკური პროცესების შესწავლის საფუძველზე მიღებულია მუშა ორგანოს კუთხური სიჩქარის, აჩქარებისა და მგრეხავი მომენტის საანგარიშო ფორმულები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: დადგენილია გადაზრდილი ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალება მცირე მექანიზაციის ბაზაზე;

დამუშავებულია სასხლავი მოდულის მუშა ორგანოების როტაციული დანებისა და ხერხის დინამიკური პარამეტრების საინჟინრო გაანგარიშების მეთოდიკა;

მიღებულია დარტყმის თეორიის გამოყენებით ჭრის ძალისა და დახარჯული სიმძლავრის საანგარიშო ფორმულები მცენარეული მასალებისა და მუშა ორგანოს რეოლოგიური და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების გათვალისწინებით;

გამოყვანილია აგრეგატის ამძრავში გარდამავალი დინამიკური პროცესების შესწავლით კუთხური სიჩქარის, აჩქარებისა და მაბრუნი მომენტის საანგარიშო გამოსახულებები;

შექმნილია მოტობლოკის ბაზაზე ჩაის სასხლავი მოდული საცვლელი მუშა ორგანოებით. აგრეგატი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ჩაის, ბუჩქოვანი მცენარეებისა და ბალახების გასასხლავად.

გასხვლისა და რეაბილიტაციისათვის ექპერიმენტული ნიმუში არის საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის კ. ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში და იგი შეიძლება გამოყენებული იქნას ოზურგეთის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და სხვა რაიონის ჩაის პლანტაციებში. კვლევის შედეგები გამოიყენეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის სასწავლო პროცესში.

ლამზირი გორგილაძე

ხორბლის სილაქავეების გამომწვევთა პოპულაციების სახეობრივი და შიდასახეობრივი სტრუქტურა საქართველოში და სელექციისათვის საწყისი მასალის შერჩევა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: გალინა მეფარიშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, **ოთარ შაინიძე** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

თემის აქტუალობა. როგორც ცნობილია, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ხორბალს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ხორბლის პირველადი წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია, ხორბლის ნათესებს აქ მცირე ფართობი (40-60 ათასი ჰა) უკავია და ხორბლის მოსავალიც ძალიან დაბალია.

უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღების მთავარ შემზღუდველ ფაქტორად მთელ მსოფლიოში მუდამ იყო და დღემდე რჩება ხორბალზე არსებული სხვადასხვა დაავადებები, რომელთა მიერ გამოწვეული ზარალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობები კი მეტად ხელსაყრელია როგორც მცენარეთა, ისე მათი დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმების განვითარების, გამრავლების, გადაზამთრებისა და გავრცელებისათვის.

ხორბლის წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვამ ფიტოსანიტარული მდგომარეობის არსებითი ცვლილებები გამოიწვია. გაძლიერდა ნათესების დაზიანება ისეთი დაავადებებით, რომელებსაც ადრე ეკონომიკური მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ხორბლის პათოგენურ კომპლექსებს შორის ეკონომიკურად მნიშვნელოვან დაავადებათა რიცხვში აღმოჩნდნენ: ხორბლის ჰელმინთოსპორიოზები - მუქი-მურა სილაქავე და ხორბლის ყვითელი სილაქავე ანუ პირენოფოროზი. გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან ფოთლის სილაქვეებს შორის მსოფლიოში ერთ-ერთ საშიშ, სწრაფად პროგრესირებად და ფართოდ გავრცელებულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, დაავადებათა ეფექტური კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი წინაპირობაა: დაავადებათა სწორი დიაგნოსტიკა, მათი წარმომქმნის მიზეზების, ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებებისა, პათოგენთა პოპულაციების შიგნით მიმდინარე ცვლილებების ცოდნა და ამ ინფორმაციის მიზანმიმართულად გამოყენება.

კვლევის მეცნიერული სიახლე. საქართველოში პირველად იქნა შესწავლილი სხვადასხვა აგროეკოლოგიურ-კლიმატურ ზონაში ხორბლის სილაქავეების გამომწვევების სახეობრივი შემადგენლობა. მონიტორინგის შედეგად პირველად დადგინდა, რომ დღესდღეობით საქართველოში სილაქავის გამომწვევ დაავადებებს შორის გავრცელების ფართო არეალითა და ინტენსივობით ძირითად პათოგენს ხორბლის ყვითელი სილაქავის გამომწვევი *Pyrenophora tritici-repentis* წარმოადგენს. პირველადაა შესწავლილი სოკოს სიმპტომები და ბიოლოგია, შერჩეულია მისი კულტივირებისათვის შესაფერისი საკვები არეები. საქართველოში პირველად შეიქმნა ხორბლის სილაქავეების გამომწვევი სოკოების პოპულაციებში გენეტიკური სხვადასხვაობის ამსახველი სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის, კულტურალურ-მორფოლოგიური თვისებების სტაბილურობის, საკვებ არეზე მაღალი სპორანაწარმოქმნის უნარისა და პათოგენური აქტივობის უნარის მიხედვით იშვიათი და მაღალვირულენტური შტამების კულტურათა კოლექცია. ხელოვნურ ინფექციურ ფონზე, მინდვრის პირობებში ზრდასრულ ფაზაში და საობურის პირობებში აღმონაცენის ფაზაში, პირველად ჩატარდა ყვითელი სილაქავის მიმართ ხორბლის სასელექციო მასალის იმუნოლოგიური გამოცდა და გამოირჩა ხორბლის ყვითელი სილაქავისადმი საშუალო გამძლეობის მქონე ნიმუშები. ასევე პირველად გამოვიყენეთ ბენზიმიდაზოლის ხსნარით დაცული ფოთლის სეგმენტების ინოკულაციის მეთოდი. ამას გარდა, ინტაქტურ მცენარეებთან ჯიშთა რეაქციის ტიპების შედარებით პირველად დადგინდა ამ მეთოდის ვარგისიანობა.

პირველად შეიქმნა ხორბლის სილაქავეების გამომწვევი სოკოების პოპულაციებში გენეტიკური სხვადასხვაობის ამსახველი კულტურათა კოლექცია; ხელოვნურ ინფექციურ ფონზე ყვითელი სილაქავის მიმართ პირველად იქნა შეფასებული მსოფლიო კოლექციის ხორბლის გამძლეობა; ასევე პირველად იქნა გამოყენებული ბენზიმიდაზოლის ხსნარით დაცული ფოთლის სეგმენტების ინოკულაციის მეთოდი და ინტაქტურ მცენარეებთან ჯიშთა რეაქციის ტიპების შედარების გზით პირველად დადგინდა ამ მეთოდის ვარგისიანობა; საქართველოს გეოგრაფიული ზონების მიხედვით შედგენილი იქნა ყვითელი სილაქავის გავრცელებისა და განვითარების ამსახველი რუკა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ხორბლის ჯიშთა სელექციაში, სოფლის მეურნეობის წარმოებაში - დამცავი ღონისძიებების შემუშავებისას და სასწავლო პროცესებში.

პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ შედეგად მიღებული ინფორმაცია სილაქავეების გავრცელების, ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების და შიდასახეობრივი ცვალებადობის შესახებ აუცილებელი წინაპირობაა ხორბლის სილაქავეების კონტროლის მექანიზმების უკეთ შეცნობისა და დაავადებებისგან ხორბლის დაცვის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისთვის. გამორჩეული, დაავადებისადმი გამძლე გენოპიტები გამოყენებული იქნება შემდგომ სასელექციო პროცესში ხორბლის გამძლეობის გაუმჯობესების მიზნით. საკოლექციო შტამები გამოიყენება დაავადებისადმი გამძლე ნიმუშების შერჩევის მიზნით ჩატარებულ იმუნოლოგიურ ცდებში ხელოვნური ინფექციური ფონის შესაქმნელად; კულტურათა კოლექცია წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესშიც.

ფირუზა ვარშანიძე

ფერდობებზე თხილის მოსავლის კრეფა მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ტექნიკის აკადემიური დოქტორი **მ. მამულაძე**

ტექნიკის აკადემიური დოქტორი **რ. მარგალიტაძე**

თემის აქტუალობა. გარდამავალ პერიოდში, ეროვნული მეურნეობის დარგების — მეჩაიეობის და მეციტრუსეობის ეკონომიკის დაცემის პირობებში, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში გამოიკვეთა თხილის კულტურის, როგორც მოსახლეობის მთავარი ფულადი შემოსავლების წყაროს, მნიშვნელობა.

თხილის კულტურისადმი ინტერესი, მსოფლიო ბაზარზე მის მიმართ მზარდი მოთხოვნის გამო, საკმაოდ მაღალია. ამან განაპირობა საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში თხილის კულტურის წარმოების მკვეთრი გაფართოება და მეთხილეობის, როგორც დარგის ჩამოყალიბება.

ნებისმიერი ხეხილოვანი კულტურის, მათ შორის თხილის მოსავლის აღების დროს პირველი ოპერაცია არის როგორც ხეზე მყოფი ნაყოფის კრეფა, ასევე ძირს ჩამოცვენილის აკრეფა. ძირითადად, თხილის და თხილისმაგვარი ნაყოფების როგორც ძირს ჩამოცვენილის ასაკრეფად, ისე ხეზე მოსაკრეფად, გამოყენებულია სხვადასხვა სახის პნევმატური და მექანიკური ამკრეფები შესაბამისი სამუშაო ორგანოებით (როტორები, ჯაგრისები, დოლები, შნეკები და სხვა).

დღეისათვის, საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, თხილის კულტურა ითვლება ერთ-ერთ შრომატევად კულტურად, რადგან მისი მოვლა-მოყვანის ყველა ტექნოლოგიური პროცესი ციწროკონტურიანი ნაკვეთების, გაშენების რელიეფური სირთულის, ფესვთა სისტემის ზედაპირული განლაგების და სხვათა გამო ძირითადად სრულდება ხელით და მექანიზაციის დონე დაბალია. ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მონაცემებით, ერთი ჰექტარი თხილის პლანტაციის მოვლისა და მოსავლის მოყვანისათვის წელიწადში საჭიროა 902,6 ლარი, აქედან 500 ლარი მხოლოდ თხილის კრეფაზე და მის გარჩევაზე იხარჯება.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, საჭირო ხდება ფერმერებისათვის თხილის ისეთი საკრეფი აგრეგატის ტექნოლოგიური სქემის შერჩევა-დამუშავება, რომელიც დაკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: აგრეგატი უნდა იყოს ხელის, რადგან ასეთ ნაკვეთებზე მობილური ტექნიკის გამოყენება შეუძლებელია; ამასთან, უნდა იყოს მოტორიზებული (შიგაწვის ძრავზე მომუშავე), რადგან ელექტროფიცირებული აგრეგატების გამოყენება ეკონომიკური და ორგანიზაციული (ელექტრული ენერგიის სიძვირე, ელექტროქსელების არ არსებობა) ფაქტორების გამო არახელსაყრელია; გარდა ამისა, აგრეგატი აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი სამუშაო ორგანოთი, რომელსაც შეეძლება თხილის ნაყოფის, როგორც ხიდან ჩამოკრეფა, ისე ძირს ჩამოცვენილის აკრეფა.

წარმოდგენილი საკითხის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ დღეისათვის მცირე მექანიზაციის ისეთი ტექნიკური საშუალებების ანალოგი, რომელიც უზრუნველყოფს თხილის ნაყოფის კრეფას სოფლის მეურნეობის სუბტროპიკული ზონის რელიეფურ პირობებში, არ არსებობს.

მეცნიერული სიახლე - სადისერტაციო ნაშრომში დასაბუთებული იქნა ფერდობებზე და ტრაქტორმიუწვდომელ ფართობებზე თხილის კრეფის ახალი სამანქანო ტექნოლოგია; დასაბუთებულია, რომ თხილის საკრეფ ხელის აგრეგატებში, ყველაზე უფრო რაციონალურია პნევმოსატრანსპორტო სისტემების გამოყენება. დამუშავებულია რაციონალური და ტექნოლოგიური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა; ანალიტიკურად განსაზღვრულია მუშა ორგანოს ამძრავის ოპტიმიზაციის მეთოდი, აგრეგატის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმში მოძრაობის უთანაბრობის კოეფიციენტის გათვალისწინებით; მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტის ოპტიმალური შეთანაწყობა; დამუშავებულია თხილის საკრეფი ხელის აგრეგატის პნევმოსატრანსპორტო სისტემის პრინციპული სქემა.

პრაქტიკული ღირებულება - არსებული ვენტილატორების აეროდინამიკური სქემების შესწავლის შედეგად, დამუშავებული იქნა გრიგალური ტიპის ვენტილატორის მოდერნიზებული ვარიანტი, რომელსაც შეუძლია დაზიანების და გაჭედვის გარეშე გაატაროს თხილის მოკრეფილი მასა.

ტექნოლოგიური და ტექნიკური პარამეტრების დადგენის მიზნით, ჩატარებული იქნა აგრეგატის საველე და ლაბორატორიული გამოცდები. გაანგარიშებული იქნა აგრეგატის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა.

ციცანა ცეცხლაძე

ქერის ნაცრის გამომწვევის *Blumeria graminis DS. f.sp.Hordei Marchal* შიდასახეობრივი დიფერენციაცია საქართველოში

ხელმძღვანელები: გალინა მეფარიშვილი — ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,

შოთა ლამპარაძე — სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

თემის აქტუალობა. მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. მსოფლიო ექსპერტთა გაანგარიშებით, შესაძლებელია, მოკლე დროში კაცობრიობა სურსათის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს. მსოფლიოში მარცვლეულის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, მარცვლეულის წარმოებითა და მოსავლიანობის დონით საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ დედამიწის მოსახლეობის (მათ შორის საქართველოში) კვების ბალანსში მარცვლეულის პროდუქციის დასახლოებით 50 პროცენტზე მეტი უკავია.

ქერი, მრავამრიგი გამოყენების გამო, მეტად მნიშვნელოვანი მარცვლოვანი კულტურაა. მისი, როგორც პურეულის ხვედრითი წილი საქართველოს მიწათმოქმედებაში, მეტად მნიშვნელოვანია. მის მოსავლიანობაზე დიდ უარყოფით გავლენას იხდენს ქერის ნაცარი, რომელიც მავნეობის მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული და ფართოდ გავრცელებული დაავადებაა მსოფლიოში. მისი გამომწვევი სოკოს- **lumeria (syn.*Erisiphe) graminis f.sp. hordei*** -ის კოსმოპოლიტურობა და ბიოლოგიური პლასტიკურობა მემცენარეობის თითქმის ყველა ზონაში წარმოშობს ხანგრძლივი პერიოდით დიდ და ძლიერ ინფექციის კერებს ეს თავის მხრივ, განაპირობებს ძლიერ მავნეობას. დაავადებისაგან მიყენებული ზარალი 10-40% შეადგენს.

დაავადებასთან ბრძოლის მეთოდებიდან ერთ-ერთი საუკეთესო, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიურად გამართლებული მეთოდია გამძლე და ტოლერანტი ჯიშების გამოყენება, რაც მცენარის ხანგრძლივ დაცვას უზრუნველყოფს. გამძლე ჯიშების შექმნა შესაძლებელია სელექციონერთა და ფიტოპათოლოგთა ერთობლივი მუშაობით.

საქართველოში ქერის ნაცრის გამომწვევი დღემდე შეუსწავლელია. ჩვენ არა გვაქვს ქერის ნაცრის მიმართ გამძლე გენების შემცველი ჯიშები. გამძლეობის დონორებად ხშირად გამოიყენება ჯიშები, რომელთა გამძლეობის გენეტიკა ნაცრის გამომწვევის მიმართ შეუსწავლელია. ლიტერატურული მონაცემებით ცნობილია, რომ სხვა ქვეყნებში იდენტიფიცირებული ქერის გამძლეობის გენების უმრავლესობა დაბალეფექტურია ნაცრის გამომწვევი სოკოს ადგილობრივი პოპულაციების მიმართ, ამიტომაც სელექციონერთა მოთხოვნები ნაცრისადმი გამძლეობის დონორებზე ყოველწლიურად იზრდება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი თემა მეტად აქტუალურია.

მეცნიერული სიახლე. პირველად დოქტორანტის მიერ ჩატარდა კვლევები საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში ქერის ნაცრის გამომწვევის განვითარებისა და გავრცელების ხარისხისა შესასწავლად. მსოფლიოში ცნობილი ნაცრისადმი გამძლე გენების შემცველი ჯიშ?იფერენციატორების ევროპული ნაკრების გამოყენებით შესწავლილი იქნა პათოგენის ქართული პოპულაციის ვირულენტური სტრუქტურა.

პირველად იქნა დადგენილი ნაცრის გამომწვევი სოკოს ***Blumeria graminis DS. f.sp.Hordei* Marchal** გავრცელების არეალი, განისაზღვრა ვირულენტობის მახასიათებლების პროცენტული რაოდენობა პოპულაციაში (პოლიმორფობა,ჰეტეროგენულობის ხარისხი, საშუალო ვირულენტობა). შესწავლილი იქნა პათოტიპთა გავრცელება ქერის ჯიშების, საქართველოს გეოგრაფიული რაონების და წლების მიხედვით.

მოხდა ქართული სელექციისა და ინტროდუცირებული ქერის ჯიშ-ნიმუშების კოლექციის იმუნოლოგიური შეფასება პარაზიტის ქართული პოპულაციის მიმართ; გამოვლინდა გამძლეობის წყაროები.

პრაქტიკული მნიშვნელობა. ქერის ნაცრის გამომწვევი სოკოს მიმართ გამოვლენილ გამძლეობის ეფექტურ გენებსა და წყაროებს სელექციონერები ნაცრისადმი გამძლე ჯიშების გამოსაყვანად გამოიყენებენ. ქერის მიმღებიანი და გამძლე ჯიშების ცოდნა ხელს შეუწყობს ჯიშების შერჩევა- დარაიონებას.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ სასწავლო პროგრამებში (მცენარეთა დაცვის,ფიტოპათოლოგიის, გენეტიკისა და სელექციის) სალექციო კურსებში.

მინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნო რექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში, სრული პროფესორის ნათია წიკლაშვილის დაუღალავი შრომა. მიუხედავად გადადგირთული სამუშაო გრაფიკისა ყოველთვის ახერხებდა გაცნობოდა და დასწრებოდა თითოეული დისერტაციის დაცვას. ამასთანავე, დიდი ყურადღებას იჩენდა ჩამობრძანებული სტუმრებისადმი.

იმედია ადგილობრივი ხელისუფლება და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თვით მინისტრი ზაურ ფუტკარაძე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სადისერტაციო ნაშრომების განხილვასა და დისერტაციების დაცვებში მონაწილეობაში, გაითვალისწინებენ აღნიშნული პიროვნებების დასაქმების საკითხს აგრარულ სექტორში.

რეზო ჯაბანიძე
ტექნოლოგიური ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი

ნაყოფიერად შეფასებული სტუდენტური ცხოვრება

დავით ბენდელიანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტია. წლების განმავლობაში იგი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის შემოქმედებით წრეებში. მომავალი ისტორიკოსი ამბობს, რომ ხელოვნებაზე ფიქრი ეხმარება სამყაროს მარტივად და სიღრმისეულად აღქმაში.

— დავით, როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღის ისტორია?

— ჩემი დილა იწყება ისევე, როგორც სხვა ყველა ჩვეულებრივი სტუდენტის დილა. ვიღვიძებ (დავითი იცინის), შემდეგ კი მივდივარ უნივერსიტეტში და ვესწრები სალექციო პროცესს. როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში არის კულტურის ცენტრთან არსებული შემოქმედებითი წრეები. ჩემდა საბედნიეროდ, რამოდენიმე ასეთი შემოქმედებითი წრის წარმომადგენელი გახლავართ. აქედან გამომდინარე, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი სიმღერის, სპექტაკლებისა და ცეკვის რეპეტიციებს ეთმობა. ხშირად არასალექციო და სალექციო დროის გატარება სარეპეტიციო დარბაზში მიწევს.

— სად და როგორ ერთობი?

— ვერთობი ყველგან, სადაც ამის საშუალება მეძლევა და შესაბამისი განწყობა მაქვს. განწყობას მეგობრები მიქმნიან, რომელთა დიდი ნაწილიც ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან, ზოგი მოწოდებით, ზოგი კი სამოყვარულო დონეზე. ამის წყალობით ჩვენ ხშირად ვახერხებთ ერთი ჩვეულებრივი დღის განსაკუთრებულ შემოქმედებით საღამოდ გადაქცევას.

— წინასაახალწლოდ დატვირთული გრაფიკი ხომ არ გაქვს?

— ამ ეტაპზე ჩემი რეჟიმი ბევრად განსხვავდება გასულ წლებთან შედარებით. წელს მხოლოდ ერთ საახალწლო კონცერტში ვგეგმავ მონაწილეობის მიღებას, რომელიც ტრადიციულად ჩვენს უნივერსიტეტში იმართება და მასში მონაწილეობენ, როგორც სტუდენტები, ასევე უნივერსიტეტის ლექტორ- მასწავლებლები.

— დავით, ტრადიციულად, სად და როგორ ხვდები ახალ წელს?

— ტრადიციულად ახალ წელს სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდები. შემდეგ მეგობრებთან ერთად რომელიმე რესტორანში მივდივარ და დილამდე აღვნიშნავთ ახალი წლის შემობრძანებას.

— რას ნიშნავს შენთვის ხელოვნება?

— ხელოვნება და შემოქმედება ეს ის თემაა, რომელზეც საუბარი შეიძლება დაუსრულებლად. მისი მნიშვნელობა ადამიანის განვითარების პროცესში საკმაოდ დიდია. ეს არის მსოფლმხედველობა, რომელიც სცდება ამ სამყაროს ტრადიციულ ანალიზს და მის საზღვრებს. უსასრულოდ ზრდის ხელოვნების ცალკეული დარგი პიროვნებას, თავისებურად ახერხებს დააფიქროს ადამიანები საკუთარ თავზე და მათ გარშემომყოფებზე. ჩემთვის ჭეშმარიტი ხელოვნება ის შემოქმედებაა, რომლის ნახვის, წაკითხვის თუ მოსმენის შემდეგ ადამიანი ცოტათი უკეთესი ხდება, ვიდრე იყო. სწორედ ეს არის სტანდარტული ხედვა, რომელიც მეხმარება მარტივად და ამავდროულად სიღრმისეულად ვუყურო სამყაროს.

— რამდენად უთავსებ ერთმანეთს სწავლას და შენს საყვარელ საქმიანობას?

— სწავლა და საყვარელი საქმიანობის შეთავსება მაშინაა შესაძლებელი, თუ რომელიმე ერთ დარგს ირჩევ. ეს კი ჩემ შემთხვევაში ცოტაოდენ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან მე არაერთი გატაცება და საყვარელი საქმიანობა მაქვს. ხშირი კონცერტები თუ უნივერსიტეტის სხვადასხვა კულტურული აქტივობები, ხშირად გამხდარა მიზეზი ჩემი სალექციო პროცესზე არ გამოცხადებისა. არცერთი ასეთი გაცდენილი საათი არ ჩაუთვლიათ ჩემთვის საპატიოდ. ყოველივე ამის მიუხედავად, მე მაინც ვთვლი, რომ გზა, რომელიც განვვლე ჩემი სტუდენტობის დროს, საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

— შენი საახალწლო იმედები...

— ახალი წლისაგან ველოდები სასიამოვნო სიახლეებს, როგორც კარიერაში, ასევე პირად ცხოვრებაში. იმედი მაქვს 2014 წელი ოცნებების ასრულების წელი იქნება, როგორც თითოეული ქართველისათვის, ასევე ჩემთვისაც. საქართველოს ვუსურვებ გამთლიანებას, ხოლო რაც შეეხება ჩემს პირად ოცნებას, იმედი მაქვს წელს მაინც ვიხილავ ქალაქ პარიზს მთელი თავისი მშვენიერებით. მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი. გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს" გისურვებთ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

თამარ გორგოშაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

გილოცავთ!

ჩემო მეგობრებო,

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენთვის დამდეგი 2014 წელი. ჯანმრთელობა, სიკეთე, სიხარული, სიმრავლე, სანუკვარი ოცნებების ახდენა დაგვბედებოდეს.

ყოველი ახალი წელი ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს — შევხვდეთ მათ ერთიანობის სულისკვეთებით, სიყვარულით და გავამდიდროთ ჩვენი უნივერსიტეტის, ქვეყნის მატიანე ახალი, შთამბეჭდავი წარმატებებით.

ნათია წიკლაშვილი,
ბსუ-ს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი

ჩემს საყვარელ უნივერსიტეტს, ჩემს ყველა თანამშრომელს, სტუდენტებს გულითადად მივულოცავ ახალ წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებებს საკვლევაძიებო და შემოქმედებით საქმიანობაში. დაე, 2014 წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისათვის ახალი წარმატებების მომტანი... განსაკუთრებით მინდა სტუდენტებს ვისურვო მეტი მოტივაცია არჩეული სპეციალობის დაუფლებაში, ბეჯითი სწავლითა და საქმიანობით გავეხარებინეთ მათი პროფესორები და საკუთარი ოჯახები...

გილოცავთ, ბედნიერები და წარმატებულები იყავით!

ნარგული ასანიძე,
ასოცირებული პროფესორი

მიილია 2013 წელი, რომელიც ერთგვარად საეტაპო იყო ჩვენი უნივერსიტეტისა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში; დადგა ჟამი, მადლიერებით გავაცილოთ ძველი წელი და იმედით შევხვდეთ ახალ, — 2014 წელს.

ახალი წლის მობრძანებას ვულოცავ ქართველ ხალხს საქართველოში და მის გარეთ, საქართველოს ყველა მოქალაქეს...

ახალ წელს ვულოცავ ჩვენს უნივერსიტეტს, - პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, ყველა თანამშრომელს, მის უდიდესებულობას - სტუდენტობას.

დაე, 2014 წელი იყოს ახალი წარმატებების მომტანი ყველა ჩვენგანის პირად ცხოვრებასა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

გილოცავთ, გაიხარეთ!

მამია ფალავა, პროფესორი

მშობლიური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს ვულოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, ოჯახურ იდილიას და ქვეყნის აღმშენებლობას.

ახალი წელი - ახალი სიხარულის, იდეებისა და სიახლის მომტანია. ახალი 2014 წელი - ცხენის წელია და იგი ყოფილიყოს მის მსგავსად მშვიდი, ცხოვრებაში დასახული მიზნების შესრულების, ახალი გეგმების დასახვისა და რეალიზაციის წელი.

ახალი წელი ყველა სხვა დღესასწაულთაგან განსაკუთრებულია, რადგან იგი არა მარტო კალენდარს ცვლის, არამედ ყველა ჩვენგანს ახალ იდეებსა და მოლოდინებებს გვინერგავს. მინდა, ჩვენს ქვეყანასა და სრულიად მსოფლიოში იყოს მშვიდობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს სიხარული, ბედნიერება და სიურპრიზები ვაჩუქოთ.

მრავალ ახალ წელს ჩემო მეგობრებო, სტუდენტებო და თანამემამულენო... ყველას უფლის მადლი გფარავდეთ.

მერაბ ფუტკარაძე,
ასოცირებული პროფესორი

სიკეთის რაინდი — მარადისობის მკვიდრი

„რომანზედ დამთენებია,
ფანჯრებში რიბირაბოა:
რა ზვრები, რა მტევნებია,
ამირეჯიბო ჭაბუა!“
მურმან ლეგანიძე

მარადიულ საქართველოში დიდებულ ქართველ მწერალთა კრებულს შეუერთდა ჭაბუა ამირეჯიბი სიცოცხლეშივე პროზის დიდოსტატად და კლასიკოსად აღიარებული.

ქართველმა ერმა დაკარგა შემოქმედი იგავმიუწვდენელი მშვენების წიგნის, გენიალური „დათა თუთაშხიასი“, რომელიც აგერ უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია დააბიჯებს მსოფლიოში და ყველგან სიკეთე, სიბრძნე, ღირსებისა და კეთილშობილების გრძნობა, რაინდული სული და დიდი ადამიანური სიმართლე დააქვს. ეს სიმართლე კი ასე ჟღერს: „ცუდი საქმე კარგ საქმეს ვერ აჯობებს ვერასოდეს. ასეა ეს. ეს სიმართლე ერთნაირად მისაწვდომია ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანისათვის. ამის მიზეზი კი რამდენიმეა: უპირველესი ესაა მძაფრი, დინამიკური სიუჟეტი, ორიგინალური არქიტექტონიკა რომანისა, რომლის თითოეული თავი იკითხება როგორც დასრულებული ნოველა და ერთმანეთს ცვლის მაღალმხატვრულად გამოძერწილი სხვადასხვა მთხრობელი: რომანში 150-მდე პერსონაჟია და თითოეული ფერხორცით სავსე, კოლორიტული ფიგურაა, მისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური წყობით, ტემპერამენტით, ჟესტ-მიმიკითა და მეტყველების ინდივიდუალური მანერით. ამ კლასიკურად გამოკვეთილ მხატვრულ სახეებს ფართო განზოგადების ძალა მიანიჭა მითის ორიგინალურმა გამოყენებამ. ბევრი პერსონაჟის სახელი, მსგავსად ლუარსაბის, ჯაყოსა თუ კვაჭისა, საზოგადოდ იქცა.

„დათა თუთაშხიაში“ ვირტუოზულადაა შერწყმული სათავგადასავლო-ავანტიურისტული თუ დეტექტური რომანის ელემენტები ღრმა ფილოსოფიურ-ეთიკურ განსჯასთან, მჭიდროდაა გადახლართული სოციალური, ისტორიული და ფსიქოლოგიური ასპექტები, მითოსური და ემპირიული პლანები.

„დათა თუთაშხიას“ მკითხველს ისეთი შეგრძნება აქვს, რომ რომანის პერსონაჟები მხოლოდ „აქ და „ამ დროში კი არ ცხოვრობენ და მოქმედებენ, არამედ წვდებიან ერის, კაცობრიობის პირველსაწყისებს; ნაწარმოებში უწყვეტ მთლიანობად აღიქმება წარსული — თანამედროვეობა — მომავალი და ის იკითხება როგორც განზოგადება: პიროვნება ერი კაცობრიობა . ეს მიღწეულია ისევ და ისევ მითოსური ელემენტის ზომიერი შემოტანით. ამან რომანს იგავურობა, მრავალპლანიანობა შესძინა. ნათელია, რომ „დათა თუთაშხიაში“ მითოსური პლასტის შეტანა არაა მწერლის თვითმიზანი. იგი რომანის შინაგანი ლოგიკი კარნახით მიგნებული ორგანული ფორმაა. ნაწარმოების პერსონაჟები საოცრად რეალურნი, ფერ-ხორცით სავსენი, მიწიერნი არიან და, ამავე დროს, ისინი ზოგად სახე-სიმბოლოებსაც წარმოადგენენ. მიუხედავად ისტორიული ფონისა, რომანი თანამედროვეობით სუნთქავს.

რომანის ეპიგრაფებმა უდიდესი განზოგადების ძალა მიანიჭეს დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას თავისთავად დიდებულ, კლასიკურ სახეებს, სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩინეს სიკეთისა და ბოროტების მარადიული, სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის თემა და ნაწარმოების ძირითადი იდეა: ბოროტება მხოლოდ თვითშეწირვითბ დაიძლევა, საკუთარი სულისა და სიცოცხლის ზვარაკად მიტანით გარდაიქმნება სიკეთედ.

მითოლოგიური და რეალისტური პლანების ურთიერთმონაცვლეობამ საშუალება მისცა მკითხველს იოლად ჩასწვდომოდა რომანის ძირითად სათქმელს: ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი, ამაღლებული და მდაბალი ადამიანების სულშივეა ჩაბუდებულ-გადაწნული, ხოლო ღმერთისა თუ სატანის არჩევას პიროვნების ზნეობა განაპირობებდს.

ამერიკელი მკვლევარი ერნსტ ტეილორი ერთგან მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ ძველი სამყაროს მითის გასაგებად მხოლოდ არგუმენტები და ფაქტები არ კმარა, საჭიროა ,,ღრმად პოეტური გრძნობა.

საბედნიეროდ, ეს „ღრმად პოეტური“ გრძნობა ჭარბად აღმოაჩნდა „დათა თუთაშხიას“ შემოქმედს და ამან განაპირობა მის რომანში მითისა და რეალობის ბუნებრივი ურთიერთგადაწვნა. მითოსი ხომ ჩვენი შორეული წინაპრების სამყაროთი გაოცების შედეგია. ,,კაცობრიობის ბავშვობიდან დარჩენილი უნატიფესი, უმშვენიერესი ზმანება, რომელში ჩამალული ენერგიაც ასე დიდებულად გამოიყენა ჭაბუა ამირეჯიბმა. გამორჩეული ყირგიზი მითოშემოქმედი მწერლის, ჩინგიზ აიტმატოვის, სიტყვების პერიფრაზს თუ მოვიშველიებთ, ამიტომაც ასე სასიამოვნოდ გველამუნება რომანის ფურცლებიდან მაცოცხლებელი ნიავი, დღევანდელობის, თანამედროვე ლიტერატურის იალქნებს რომ ბერავს და ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისჰორიზონტისკენ მიგვაქანებს.

ქართული მითოსის ორიგინალური გადამუშავებისა და შემოქმედებითი ათვისების შედეგად ჭაბუა ამირეჯიბმა შექმნა ახალი ტიპის ისტორიული რომანი — პარაბოლა, რომელშიც მითოლოგიური და ემპირიული პლანების მონაცვლეობით წარმოჩენილია ერის სულიერი, ზნეობრივი ძიებების ისტორია, ერის ცხოვრების უღრმესი და უზოგადესი ეთიკურ—ფილოსოფიური პლასტები, ზოგადკაცობრიული, მარადიული სულიერი ღირებულებანი, რომლებიც ისტორიულ ცვლილებათა მიღმა დევს. რომანში დიდოსტატურადაა ხორცშეხმული ხალხის საოცნებო, იგავმიუწვდენელი მშვენების, სულიერად სრულქმნილი, იდეალური გმირი, ანუ ის, ვისაც ასე მოწყურებული და დანატრებული იყო ქართველი მკითხველი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გიგა ლორთქიფანიძის მიერ „დათა თუთაშხიას“ კონგენიალური ეკრანიზაციის გამოსვლის შემდეგ რომანმა მეორე სიცოცხლე შეიძინა.

„დათა თუთაშხიას“ კიდევ ერთი მშვენიერი რომანი „გორა მბორგალი“ მოჰყვა, რომლის წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება არ გაგახსენდეთ კოლუმბიელი „მითოპოეტის გაბრიელ გარსია მარკესის სიტყვები: ,,დაუჯერებელი თავად სინამდვილეა. რომანში შემაძრწუნებელი სიცხადითაა დახატული უზარმაზარი იმპერია საათივით აწყობილი დამსჯელი მექანიზმით, ნაჩვენებია ციხე-სახელმწიფო, სადაც თავისუფლებაში ცხოვრება დიდად არ განსხვავდებოდა ბანაკში ყოფნისგან.

ჭაბუა ამირეჯიბმა „გორა მბორგალში“ გააგრძელა „დათა თუთაშხიაში“ დაწყებული ძიება ადამიანის ამქვეყნიური საზრისისა, აქტიური მებრძოლი სიკეთისა, საკუთარი „მე? ძირისძირობამდე განჩხრეკისა, თვითშემეცნების, სულიერი ევოლუციის მეშვეობით ძალმომრეობაზე დამყარებულ საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების მოპოვების გზების ძიებისა.

დათას მსგავსად გორაც გალოკილი თითივით მარტოკაცია, მისი ცხოვრებაც გამართლებაა დათას პრინციპისა: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

გორა მბორგალი თავისთავს ბედნიერ კაცს, იღბლიანობის დაუსწრებელი ჩემპიონატის გამარჯვებულს უწოდებს. დათაცა და გორაც მწერლის სისხლი სიხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი, ამდენად, ვფიქრობთ, ეს სიტყვები სწორედ მის ავტორს ჭაბუა ამირეჯიბს განუმეორებელ პიროვნებასა და მწერალს შეეფერება, ჭაბუა ამირეჯიბს ქართული მწერლობის უპირველეს ფალავანს, რომლის შემოქმედებამ ერთგვარად შეაჯამა ქართული რომანის განვითარების საუკუნოვანი გზა და, მართლაც, მეფურ გვირგვინად დაედგა მეოცე საუკუნის სიტყვაკაზმულ ლიტერატურას.

და ალბათ სიმბოლურია, რომ სწორედ ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალებით დაიხურა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის დიდი წიგნის უკანასკნელი ფურცელიც.

ახლა უკვე ქართველი ერის ღირსების საქმეა თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა და მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფურცლის ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედების მოვლა-პატრონობა.

შორენა მახაჭაძე,
სრული პროფესორი

გილოცავთ!

სულ რამდენიმე დღეში კარს შემოაღებს ახალი 2014 წელი, მინდა გულითადად მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, ადმინისტრაციას, თითოეულ თანამშრომელს, თანაქალაქელებს და სრულიად საქართველოს. ეს წელი ყოფილიყოს უფლის წყალობისა და მფარველობის, მშვიდობის, ჯამრთელობისა და სიკეთის მომტანი. ღმერთი ფარავდეს თითოეული ჩვენგანის სავალ გზას და სრულიად საქართველოს.

ახალი წელი ძველის გადაფასებისა და ახლის მოლოდინების გასაყარია. ეს ის დროა, როცა ვაანალიზებთ და ვაფასებთ განვლილ წელს. ვთვლით, რომ იგი წარმატებული იყო უსაყვარლესი და დიდი ტრადიციების მქონე ჩვენი უნივერსიტეტისთვის. ახალი წელი უკეთესი ყოფილიყოს სწავლის, სწავლების, მეცნიერული მიღწევების, საინტერესო და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობისა და იმედების ასრულების წელი და ყოველ ჩვენგანს თავისი წვლილი შეეტანოს ამ დიდ წარმატებაში.

პატივისცემით

ნელი ხალვაში,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი



დგება ახალი 2014 წელი. ყოველი ახალი წელი ახალი სურვილების, იმედებისა და ოცნებების წელია.

გულითადად მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, პროფესორ-მასწავლებელს და სტუდენტს. გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს ულევი სიხარულის, სიყვარულის, წარმატებული საქმიანობის წელიწადი. სიკეთე, სითბო და ბარაქა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

უფალი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

საუკეთესო სურვილებით

ნანი გვარიშვილი,
ასოცირებული პროფესორი

უნივერსიტეტს ვულოცავ დამდეგ 2014 ახალ წელს.

უნივერსიტეტის ყოველ სტრუქტურულ ერთეულს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს ვულოცავ ახალ წელს. ვუსურვებ ახალ-ახალ გამარჯვებებს პირად და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მინდა ყოველთვის ვხედავდე, რომ ტექნოლოგიური ფაკულტეტის ტრანსპორტის პროგრამული მიმართულების სტუდენტების სახელმძღვანელო იდეა იყოს ცოდნის დაუოკებელი სურვილი კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბება, რამეთუ ტრანსპორტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ის ერთი ქვეყნის საკუთრება კი არ არის, არამედ ხალხთა შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედია.

ინდიკო აბაშიძე,
პროფესორი

ჩოგორი იქნება დამდეგი 2014 წელი ზოდიაქოს თითოეული ნიშნისთვის

2014 წელი, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით ლურჯი ხის ცხენის წელია. ცხენი თავისი არსით და ხასიათით მოხერხებული, გამჭრიახი და კომუნიკაბელური არსებაა, ამიტომ 2014 წელს განსაკუთრებულად გაუმართლებთ ადამიანებს, რომლებიც ხასიათის ზუსტად ამ თვისებებით არიან დაჯილდოებულნი. წელიწადი პოზიტიურია სასწორის, მშვილდოსნის, ვერძის, ქალწულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის. შედარებით რთულია ლომების, ტყუპისა და კუროებისთვის. უფრო დაწვრილებით კი სტატიაში წაიკითხავთ თქვენი ნიშნის შესახებ...

ვერძი — ცხენის წელი ვერძებისთვის საკმაოდ პოზიტიური იქნება. თუმცა მათ უმრავლესობას მაქსიმალური წარმატების მისაღწევად მოეთხოვება უფრო ეკონომიური და წინდახედული დამოკიდებულება გამოიჩინოს ფინანსების მიმართ. განსაკუთრებით ეხება ეს წლის პირველი ნახევრის პერიოდს. სამაგიეროდ, თუკი ვერძები ცხენის წლის დასაწყისს გონივრული შენაძენებით აღნიშნავენ, სამომავლოდ გაცილებით უფრო მსხვილბიუჯეტიანი და მომგებიანი პროექტების განსახორციელებლადაც მიეცემათ შანსი.

კუროო — ცხენის წელი კუროებს რეალური ცხოვრებისეული ფასეულობების დანახვა-დაფასებაში დაეხმარება. ამ ადამიანების დიდი ნაწილი, სწორედ ამ წელს დააფასებს დროს და ნამდვილ ურთიერთობებს. ამასთან ერთად, ზუსტად ამგვარი ტრანსფორმაციის ფონზე შეძლებს ბევრი კუროო, ძალზე დიდი ნახტომი გააკეთოს მომავლისკენ და, რა თქმა უნდა, უკეთესობის მიმართულებით.

ტყუპი — ცხენის წელი ტყუპის უმრავლესობას ერთობ რთული გადაწყვეტილების მიღების წინაშე დააყენებს. მათ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტონ საკუთარ თავში, ის თუ ვის გვერდით სურთ ყოფნა. თანაც, ეს საკითხი ერთნაირად შეეხება როგორც დაუოჯახებელ, ისე უკვე ქორწინებაში მყოფ ტყუპებს. წლის პირველი დეკადა კარგია ამ ხალხმა პროფესიული რეალიზაციის კუთხით გამოიყენოს. თუმცა, პროფესიონალიზმის დასახვეწადაც მოუხდება ზოდიაქოს ამ ნიშნის ბევრ წარმომადგენელს ოფლის ღვრა და ხეტიალისადმი სიყვარულის შეზღუდვა.

კირჩხიბი — ცხენის წელში, კირჩხიბების უმეტესობას დაუძლეველი სურვილი გაუჩნდება ერთბაშად და სწრაფად იშოვნოს დიდი ფული. საამისოდ ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგელები სხვადასხვა სახის სარისკო მაქინაციებზეც არ დაიხევენ უკან, რაც ზოგადად კირჩხიბს ნაკლებად ახასიათებს. თუმცაღა ასტროლოგები მათ ამ ქმედებისგან თავის შეკავებას ურჩევენ. 2014 ის წელია, როცა კირჩხიბს გეგამაზომიერი ფინანსური ოპერაციების ჩატარება ან ალტერნატიული შემოსავლის წყაროს მონახვა მოეთხოვება, რომელიც სამომავლოდ მათ სოლიდურ დივიდენდებს მისცემს.

ლომი — ლომებისთვის 2014 წელი განვლილი წლების შესაჯამებლად საუკეთესო წელი იქნება. ეს ის პერიოდია, როცა ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, გადახედონ მიმდინარე წლების წარმატებათა და წარუმატებლობათა ნუსხას. გააანალიზონ საკუთარი შეცდომები და სამომავლოდ სრულიად განსხვავებული სტრატეგია დაგეგმონ მიზნების მისაღწევად. პირად ცხოვრებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენებით იქნება დატვირთული მაისი და სექტემბერი.

ქალწული — ცხენის წელი ქალწულებისთვის ძალზე პოზიტიური ძვრებით ხასიათდება, როგორც კარიერულ სარბიელზე, ისე პირადი ცხოვრების კუთხით. ეს სწორედ ის წელია, როცა ბევრი ქალწული მოახერხებს საკუთარი პრეტენზიის შესაბამისი მეორე ნახევარი იპოვნოს ბოლოს და ბოლოს. გარდა ამისა, ქალწულების დიდ ნაწილს პროფესიულ სარბიელზეც მიეცემა წინსვლის შანსი.

სასწორი — სასწორების უმრავლესობას ცხენის წელი მისცემს შანსს, საკუთარი დადებითი თვისებები და პიროვნული ღირსება მთელი სისავსით წარმოაჩინოს. თუმცა, საამისოდ სასწორს სამომავლო ქმედებების ზუსტად დაგეგმვა-გაანალიზება მოეთხოვება. სამაგიეროდ, სწორი მანევრირების შემთხვევაში, ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ შეიძინონ გავლენიანი და ძლიერი მფარველ-მოკავშირეები, რომელთა დახმარებითაც წარმატების მიღწევა გაცილებით უფრო გაიოლდება.

მორიელი — მორიელთა უმრავლესობას ცხენის წელი, რაციონალურ მიდგომას ავალდებულებს ნებისმიერი ცხოვრებისეული გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ის წელია, როცა ძვირფასმა მორიელებმა მათთვის ესოდენ დამახასიათებელი რადიკალიზმი, გვერდზე უნდა გადადონ და გზა ცივ გონებას დაუთმონ. აქედან გამომდინარე, იქნება თუ არა ცხენის წელი წარმატებული ეს თავად მორიელზეა დამოკიდებული. თუკი იგი მაქსიმალურ წინდახედულებას, შრომისუნარიანობასა და მოთმინებას გამოიჩენს, შედეგი მოსალოდნელზე უფრო უკეთესი აღმოჩნდება საბოლოოდ.

მშვილდოსანი — ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ცხენის წელში მოუწევთ დისციპლინასა და საყოველთაო წესრიგს აუწყონ ფეხი, რაც მშვილდოსნების უმეტესობისთვის ძალზე რთულად შესასრულებელი რამაა. სამაგიეროდ, ისეთ მშვილდოსნებს, ვინც შეძლებს გეგმის მიხედვით იმოქმედოს პროფესიულ სარბიელზე ფორტუნა საკმაოდ ფართოდ და გულუხვად გაუღიმებს.

თხის რქა — თხის რქების უმრავლესობას ცხენის წელი კომუნიკაციის სფეროს გააქტიურებას და ბევრ საინტერესო, ახალ ნაცნობობას ჰპირდება. ეს ის წელია, როცა თხის რქა იძულებული ხდება მისთვის ჩვეული იზოლაციისკენ მიდრეკილება და დისტანციურობა დაივიწყოს, საიმისოდ, რომ პროფესიულ სარბიელზე გაჩენილი შანსები არ გაუსხლტეს ხელიდან. თუკი იგი მაქსიმალურად კომუნიკაბელური, ღიმილიანი და დიპლომატიური იქნება საკმაოდ სოლიდური თანხით შეავსებს საკუთარ ბიუჯეტს მომატებული ხელფასის ან კარგი სპონსორის მოძიების სახით.

მერწყული — ცხენის წელში ბუნებით მოუსვენარი მერწყულების უმეტესობას დაუძლეველი სურვილი გაუჩნდება ჰარმონია და სიმშვიდე სუფევდეს მის გარშემო. ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენლები სერიოზულად დაიწყებენ ფიქრს რეალურ, ცხოვრებისეულ ფასეულობებზე. ამიტომ განსაკუთრებული წარმატებით ცხენის წელი მერწყულის ზოდიაქოს ხელოვან, ფსიქოლოგ და სამწერლო სარბიელზე მოღვაწე წარმომადგენლებს დააჯილდოებს.

თევზები — ცხენის წელში თევზების დიდი ნაწილი მოწყენილობისგან თავის დასაღწევი საშუალებების აქტიურ ძიებაში იქნება. იმ შემთხვევაშიც კი თუ თქვენ არსებული საქმიანობა და სამსახური გაკმაყოფილებთ, შესაძლოა გაგიჩნდეთ ძლიერი სწრაფვა სხვადასხვა სახის ჰობის გაჩენისკენ. მაგალითად, დაინტერესდეთ იოგით, მოისურვოთ ლათინურ-ამერიკული ცეკვების სწავლა ან უბრალოდ კულინარიაში მოსინჯოთ ძალები ახლებურად, საკუთარი ოჯახის წევრების გაოცების მიზნით. ძვირფასო თევზებო, ნუ შეგშინებათ ექსპერიმენტები. ეს ის წელია, როცა თქვენი ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს.

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7